



ახალი ბანათლები

№14 (488) ბაზოლის 1998 წლიდან

„ბალოზის რაინდები“ კადრს მიღმა



ფილიმონ ქორიძის პორტრეტი, გიგო გაბაშვილი

ამბობენ, საქართველოს აღმოსავლური და დასავლური სიმღერები დედაბუნების მსგავსია და მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან...

ქართველებმა ხალხურ სიმღერას „ხმა ბუნებისა“ უწოდეს, საეკლესიო გალობას კი – „ხმა ღვთისა“. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა ორი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული კილო გალობისა: აღმოსავლური და დასავლური. საქართველოს კუთხეების მიხედვით ისინი ასე მონათლეს: ქართლ-კახური და გურულ-იმერული. პირველი აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებასავით მდორეა, ბევრით, თვალისა და ყურის დამამშვიდებელი, მეორე – დასავლეთის ბუნებასავით ცელქი და მოუსვენარი, მკვეთრი და ამაფორიაქებელი. ზუსტად არაფერ იცის, როდის შეიქმნა და როდის გამრავალხმიანდა ქართული საეკლესიო გალობა, მაგრამ ერთი რამ უდავოა, მას ქართული ხალხური პოლიფონიის იმდენად მძლავრი ტრადიცია შეეგება, რომ ქართული გალობის გამრავალხმიანებას არა მგონია დიდი დრო წაეღო. დრომ მოითხოვა და ქართული ეკლესიის ნიაღში მაშინვე გაჩნდნენ პროფესიონალი მგალობელ-კომპოზიტორები, ჩემი აზრით, ნამდვილი ვირტუოზები, რომლებმაც ქართული გალობა, ანუ „ხმა ღვთისა“ დახვეწეს და გააფერადეს. ქართულ-ხალხურ სიმღერასავით, ანუ „ბუნების ხმასავით“ გაამრავალხმიანეს. თანდათან დაიხვეწა და სანთელივით ჩამოიქნა ქართული გალობა, რომელიც მართლაც დაემსგავსა „ხმა ღვთისას“. ჩვენს ქვეყანაში სიმღერა ყველგანაა. იგი უბრალოდ ცხოვრების, ყოფის ნაწილია. აქ უსიმღეროდ არაფერი კეთდებოდა. არ ისხმებოდა ბალავარი, არ შენდებოდა სოფელი, არ ირეცხებოდა ქვევრი, არ იწურებოდა ღვინო, არ იკრიფებოდა ყურძენი, არ იხვენებოდა მინა, არ ითესებოდა და არ ითხენებოდა. ბავშვიც სიმღერით მოდიოდა ამქვეყნად და იმ-ქვეყნადაც სიმღერით აცილებდნენ ყველას...

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედებდა გალობის შემსწავლელი სკოლები...

დოკუმენტურად მტკიცდება, რომ ქართული ეკლესიის ნიაღში მგალობელთა ბავშვთა

16 აპრილს, თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი **გია მურღულია**) უფროსკლასელთათვის, ახალი ქართული მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის „გალობის რაინდები“ ჩვენება გაიმართა (რეჟისორი – **ნანა ჯანელიძე**, სცენარის ავტორი – **თემურ ჭკუასელი**, დაფინანსებულია საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ). ფილმში მოთხრობილია ორი ქართველის ისტორია, რომლებმაც მომავალ თაობებს ქართული საგალობლები შემოუნახეს. ეს არის ფილმი ზნეობის უდიდეს მაგალითზე, რომელმაც მოზარდებზე დიდი მთაბეჭდილება მოახდინა. „გალობის რაინდები“ ინგლისურ ენაზე ითარგმნა და სულ მალე საზღვარგარეთ გამართულ ფესტივალებში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენ ვთხოვეთ სცენარის ავტორს, ქართული სიმღერის დიდ მოამბეს, ბატონ თემურ ჭკუასელს, ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის მოეხსენა იმ ლეგენდარული ისტორიის შესახებ, რომელიც ყველა ქართველმა უნდა იცოდეს. საუბრისას ბატონმა თემურმა კადრს მიღმა დარჩენილი რამდენიმე საინტერესო ამბავიც გვიამბო.

გუნდებიც არსებობდა. XI საუკუნეში ათონის ივერთა, ანუ ქართველთა მონასტერში მოღვაწე წმინდა მამა გიორგი მთაწმინდელს საქართველოდან ბიზანტიაში მიჰყავს 80 უპოვარი ბავშვი და მათგან მგალობელთა გუნდს აყალიბებს. ისტორია გვამცნობს, რომ ამ გუნდისთვის თავად ბიზანტიის იმპერატორს მოუსმენია და გალობით მოხიბლულს ბავშვები გულუხვად დაუხაჩუქებია. ცხადია, მსგავსი მგალობლები, ბავშვები თუ მოზარდები სხვა ეკლესია-მონასტრებშიც მრავლად იქნებოდნენ. სწორედ ამიტომ, რეპერტუარის გამდიდრებისა და ღვთისმსახურების კიდევ უფრო გამრავალფეროვნებისთვის, მრავალდებოდნენ ჰიმნოგრაფები ეკლესიის ნიაღში. „ხმა ბუნებისა“ სამი ათას წელზე მეტია ამ ტრადიციის ერთგულია და „ხმა ღვთისა“ გაჩენის დღიდან იმავე ტრადიციებით ცხოვრობდა XIX საუკუნის დასაწყისამდე. XIX საუკუნემდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ძლიერი ფეოდალების პატრონაჟი მოქმედებდა გალობის სკოლები. ამ სკოლის აღზრდილებით მარადგებოდა მერე ეკლესიები. საერო სიმღერებისთვის მსგავსი სკოლების ფუნქციას მომღერალი ოჯახები ასრულებდნენ. ასეთ ოჯახში აბარებდნენ ნიჭიერ ბავშვებს, რომლებიც თვითონ ცხოვრობდნენ მასწავლებელთან და პრაქტიკულად უსასყიდლოდ სწავლობდნენ სიმღერებს.

XX საუკუნის 30-იან წლებამდე ასეთი საოჯახო სკოლები საქართველოს თითქმის ყველა სოფელში ყოფილა. მერე კი გაქრა. საქართველოში სიმღერით დაინტერესება იმდენად ძლიერი იყო, რომ ერთი ასეთი კურიოზული შემთხვევაც კი მიაჩნებოდა. ცნობილი მომღერალი ძმები, **ლევან და ვასილ მახარაძეები**, სახლიდან 20 კილომეტრის მოშორებით, ყოველდღე მიდიოდნენ ერთ-ერთი განთქმული საოჯახო სკოლის ეზოში, სახლის ქვეშ იმალებოდნენ და იატაკქვეშ შემძვრალნი ისმენდნენ და სწავლობდნენ იმ სიმღერებს, რომლებსაც მომღერალი ოჯახის პატრონი მათ თანატოლებს ზემოთ ასწავლიდა. ერთხელ ძმებს, შემთხვევით, იქვე შეუწყული ქათამები დაუფრთხიან და ხმაურზე გარეთ გამოსულ ოჯახის პატრონს აღმოუჩენია სიმღერის პატარა ქურდები. ძმები ზემოთ სახლში აიყვანეს და გამოსცადეს, თუ მართლა სიმღერის გულისთვის იყავით იქ შეპარულნი, მაშინ რამე ნასწავლიც გექნებათ და იმღერეთო. ბიჭებს მთელი რეპერტუარი, რასაც კი მათ თანატოლებს ზემოთ ასწავლიდნენ, თავიდან ბოლომდე უმღერიათ. ორივე გადაკოცნა

თურმე მასწავლებელმა და ჩარიცხა სკოლაში... მოგვიანებით ისინი ცნობილი მომღერლები გახდნენ.

ქართული საგალობლებისთვის ყველაზე რთულ პერიოდად XIX საუკუნის 20-იანი წლები სახელდება...

ქართული გალობისთვის მართლაც საბედისწერო აღმოჩნდა XIX საუკუნის დასაწყისი. 1811 წლიდან ქართულ საეკლესიო გალობასაც და ამ გალობის ზეპირი გზით გადაცემის ტრადიციასაც სერიოზული საფრთხე დაემუქრა. მეტისმეტად ძლიერი იყო იგი და სახელიც შესაფერისი ერქვა – რუსეთის იმპერია.

1801 წელს მუსულმანურ სამყაროს მართლმადიდებელი და პირისპირ შერჩენილმა საქართველომ თითქოსდა სამეგობროდ მოსულ ერთმორწმუნე რუსეთს გაულო ქვეყნისა და გულის კარიც, მაგრამ ერთმორწმუნე „მეგობარმა“ ისეთი რამ ჩაადინა, რაც ათასწლეულების მანძილზე არც ერთ მუსულმანურ იმპერიას არ ჩაუდგინა. მან წნობით ისარგებლა, საქართველოს დედაქალაქში უბრძოლველად შემოვიდა, სამეფო საერთოდ გააუქმა, ევროპის უძველესი ბაგრატიონთა სამეფო დინასტია მიმოფანტა და ერთ დროს მთელ აღმოსავლეთში ძლევაში იყო და მთელი საქრისტიანო სამყაროს მოდარაჯე ქვეყანა რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა.

V საუკუნიდან ავტოკეფალიურ ქართულ სამოციქულო ეკლესიას ავტოკეფალია ჩამოართვა, ანტონ II, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი რუსეთში გადასახლდა და ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობა რუსეთიდან გამოგზავნილ ეგზარქოსებს გადააბარა. რუსმა ეგზარქოსებმა ქართულ ენაზე წირვა საერთოდ აკრძალეს, უძველესი ქართული საეკლესიო გალობაც ზედ მიაყოლეს, მრევლს კი აღარც ის ესმოდა, რას უქადაგებდნენ და აღარც ის, რას უმღეროდნენ. და, რაც ყველაზე უცნაური, გაუგებარი და ერთი შეხედვით აუხსენელია, ეკლესიებში შუა საუკუნეების უნიკალური კედლის მხატვრობა, ანუ ფრესკები გაანადგურეს – კირით შეათირეს და სამუდამოდ გააქრეს – ეს კედლები ხომ ოდესღაც ულამაზესი ფრესკებით იწონებდა თავს. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის მამების გაუგებარი ბარბაროსობის ნაკვალევს წაშლა დღემდე ვერ ხერხდება. ღვთისმსახურებაც რუსულ ენაზე სრულდებოდა. ქართული გალობა რომ ეკლესიიდან გამოაძევეს, ბუნებრივია, აღარც მის სწავლებას ექცეოდა ყურადღება. ცოტაც და, სიმღერა-გალობის თაობიდან თაობაზე ზეპირ



ქვეთიმე კერესელიძე

რი გზით გადაცემის ტრადიციის ჯაჭვიც ჩაწყდებოდა. დაინწყების ბილიკზე შეაბიჯა ქართულმა გალობამ.

65 წელზე მეტი იყო უკვე გასული, რაც ქართულ ეკლესიაში ქართული გალობა აღარ ისმოდა, ხალხს აღარც კი ახსოვდა, როგორ იყო, როგორ უღერდა და რომელ საეკლესიო რიტუალს რომელი გალობა ახლდა თან.

თუმცა 65 წლის შემდეგ, 1878 წელს, იწყება ქართული საგალობლების გადარჩენის უცნაური და საინტერესო ისტორია.

1877 წელს რუსეთიდან საქართველოს ეკლესიის ეგზარქოსად გამოგზავნეს ვინმე იოანე. თუ მის თანამედროვეთ ვერწმუნებით, იგი ყველა მისი წინამორბედის მსგავსად, ქართველთა მოძულე ეგზარქოსად იყო ცნობილი, მაგრამ ერთ ფაქტს ვერსად გავუქცევით, სწორედ მან დაუჭირა მხარი ქართული ეკლესიის თხოვნას, რომ შექმნილიყო ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი, რომელიც 1877 წლის იანვარში შეიქმნა. კომიტეტის მთავარი მიზანი იყო მოეძებნათ, აღენუსხათ, მოესმინათ და, რაც მთავარია, გადაერჩინათ ქართული საგალობლები. 1878 წლის 2 სექტემბერს ანჩისხატის ეკლესიაში, მრავალი წლის შემდეგ, კვლავ გაისმა ქართული გალობა, რომელიც სხვა ტაძრებშიც გაგრძელდა. ამ დღეს ტაძარში გალობას ასრულებდნენ **გრიგოლ კარბელაშვილი** და მისი ვაჟები **პოლიექსი და ვასილი**. ცნობილი გურული მგალობლები: **მაქსიმე ჩხატარაშვილი, მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ კონტრძიძე და ივანე ზავთასი**, რომლებიც გურულ-იმერულ კილოს გალობდნენ. აღსანიშნავია, რომ გურიამ ყველაზე კარგად შემოინახა გალობის დასავლურ-ქართული კილო. ამ დღეს მორიგეობით მღეროდნენ კარბელაშვილები და გურულები. ტიროდა ხალხი. ხუმრობა ხომ არ იყო, 65 წლის შემდეგ, ისევ ისმოდა ანჩისხატის ეკლესიაში განუშეორებელი ქართული გალობა.

გვერდი 2-3

ბთავაზოტ კელაგოტა სააკრობასიო ტისტს და შეფასების სქემას ქართულ ენასა და ლიტერატურაში

გვერდი 5-9

„ბალოზის რაინდები“ კადრს მიღმა


პირველი გვერდიდან

გადმოცემის თანახმად, თბილისის სტამბის პატრონი მეცენატი მაქსიმე შარაძე და მისი მეგობარი და კომპაზიონი ესტატე კერესელიძე მომეტებული ემოციისგან ცუდად გამხდარან.

ამის შემდეგ ოქროს შემოდგომა დაუდგა ქართულ გალობას. გადაწყდა, გამოინახოს თანხა და მოიძებნოს ადამიანი, რომელიც ქართული გალობის თანამედროვე სასოტო სისტემაზე გადატანას შეძლებს. თანდათან უნდა აღინუსხოს ყველა საგალობელი და ნოტებზე დაფიქსირდეს. გადაწყვეტილების მიღება ადვილი აღმოჩნდა, მისი შესრულება გაძნელდა, თუმცა პირველი საკითხი შედარებით იოლად გადაწყდა. ამ საქმის მოსაგვარებლად საზოგადოებამ ფული ადვილად გაიმეტა. იმდროინდელი პრესა გვამცნობს: **არქიმანდრიტი გრიგოლი** – 6 მანეთი. **გრიგოლ ორბელიანი** – 20 მანეთი. **დიმიტრი ყიფიანი** – 25 მანეთი. **სიონის ტაძარი** – 48 მანეთი, **ქაშუეთის ეკლესია** – 30, **იოანე ნათლისმცემლის უდაბნო** – 30, ჩვენი ნაცნობი **ანჩისხატის ეკლესია** – 15, **შიო-მღვიმის მონასტერი** – 120. **დავით გარეჯი, ბოძბე, ქვათახევი** და ა.შ.

რაც შეეხება მეორე და უმთავრეს საკითხს... აი, მისი მოგვარება კი მეტისმეტად გაჭირდა. ქართული გალობის ნოტებზე გადატანა, მისი სირთულისა და განუყოფელი პოლიფონიურობის გამო, არ იყო ადვილად შესასრულებელი საქმე. ნიჭიერების გარდა, ორმა ცოდნასაც მოითხოვდა; მხოლოდ სასოტო სისტემის საფუძვლიანი ცოდნა არ იყო საკმარისი, გადამტანს ქართული გალობის პრინციპები და კანონები უნდა სცოდნოდა. ასეთი ორმაგი ცოდნის მქონე ადამიანის მოძებნა იმდროინდელ საქართველოში გაჭირდა. ვინც გალობის ბრწყინვალე მცოდნე იყო, ნოტების არა უწყობდა რა და, პირიქით, ვისაც ნოტებში ჰქონდა თავი ჩართული, იმის ყურს ქართული გალობისა არა გაეგებოდა.

ამ დროს ეგზარქოსი გახლდათ ვინმე პავლე, რომელიც რუსეთის „უმნიდესი სინოდის“ გადაწყვეტილებით ბესარაბიიდან გადმოიყვანეს საქართველოში. პავლემ რუსეთიდან თან გამოიყვანა ეგრეთ წოდებული „თეთრი ბერი“, გვარად ჩუდეციკი და თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად დანიშნა. სასულიერო სემინარიაში მან არათუ ქართულ ენაზე სწავლება, ქართული გალობა, ქართულ ენაზე საუბარიც კი აკრძალა... მაგრამ ქართველთა გარუსების ყველა მცდელობა მარცხისთვის იყო განიშრული. ჩუდეციკი კი მაინც ჯიუტად ქადაგებდა: „ქართული გალობა იმდენად თავისებურია, სხვა ხალხის გალობისგან იმდენად განსხვავებულია, რომ არსებული რუსული ნოტებით მისი ჩანერა შეუძლებელია. ქართული გალობისთვის განსაკუთრებული სამუსიკო ნიშნების გამოგონება საჭიროა. ქართულ ლაირბ ეკლესიას კი ამის გაკეთების თავი არ გააჩნია...“ როცა ჩუდეციკის ქართული საზოგადოება შეეპასუხა და სანიშნა-აღმდეგო დაუმტკიცა, თან საუბრის კილო გაამძაფრა და თავისი ჭეშმარიტი მიზნებიც გამოამხურო – „დავუშვათ, ქართული გალობა ჩაინერა, დაიბეჭდა და გავრცელდა. ვამეგობრეთ, რას მისცემს იგი ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, მის სამწყსოსა და მრევლს? რას მოისმენს ხალხი? თქვენი გალობა ხომ არაკეთილმოვანია, ყურს ეხამუშება, ეგროპულიისთვის ხომ ნამდვილი კავაფონია და ძაღლის წკაწკავეს უფრო ჰგავს... რატომ არ გინდათ მიიღოთ და შეითვისოთ კეთილხმოვანი, ღვთისგან ნაკურთხი და და-



ლოცვილი სლავური გალობა, რომელიც მთელ რუსეთშია მიღებული...

მრავალი წლის შემდეგ, ქართული პოლიფონიური სიმღერა, რომელსაც ორი საუკუნით ადრე ვინმე ჩუდეციკი ძაღლის წკაწკავეს ადარებდა, 2001 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით იუნესკომ კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ შედევრად აღიარა.

ამ პოლიფონიის ერთ-ერთი შედევრი კი, სახელად „ჩაკრულო“, ბეთჰოვენის სიმფონიასთან და ლუი არმსტრონგის სიმღერასთან ერთად, კოსმოსური კავსებით გალაქტიკაში სამოგზაუროდ გაიგზავნა საგარეულო ცივილიზაციებთან შესახვედრად, როგორც კაცობრიობის მუსიკალური აზროვნების უბრწყინვალესი ნიმუშები. ქართულ სიმღერებს მთელი მსოფლიო, როგორც მწყურვალე წყაროს ანკარა წყალს, ისე დაენახა. ამ სიმღერებს მღერიან ფრანგები, გერმანელები, იაპონელები, იტალიელები, ამერიკელები და შვედები, კანადელები, სარდები და კორსიკელები... მეც, თქვენი მონა-მორჩილიც ხომ ამ სიმღერებმა მომიყვანა ამქვეყნად და ამ სიმღერების სიყვარულის გამო გესაუბრებით.

და სწორედ ამ დროს, თბილისში ჩამოდიხარ ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი, ფილიმონ ქორიძე. სამწუხაროდ, საქართველოში ცოტამ თუ იცის მისი ღვაწლის შესახებ.

ეს ადამიანი სამშობლოში ლამაზი ლეგენდიდან მოვიდა. თვითონ ლეგენდა კი იტალიაში, მილანის მყოფრო ქუჩებში დაიბადა. ფილმის გადაღება თითქმის დამთავრებული გვექონდა, როცა ერთ პატარა პროვინციულ ქალაქში, სადაც ფილმის საფინანსო კადრებს ვიღებდით, ერთმა ქართველმა ასეთი ისტორია გვიამბო: მამაჩემი ინჟინერი იყო, ხიდებს აშენებდა. ომის დამთავრებიდან 7 თუ 8 წლის მერე იტალიაში გაუგზავნიან მივლინებით, მილანში ცხოვრობდა. როცა იქიდან დაბრუნდა, ასეთი ამბავი გვიამბო: მილანში რესტორანში მარტო ვისადილე. როცა ოფიციალტი მოვიხმე და დანახარჯი ვკითხე, ანგარიშის მოტანის ნაცვლად მკითხა იქნებ მიიხრათ, სადაური ბრძანდებიო... რატომ დაინტერესდით-მეთქი ჩემი სადაურიობით, ვეკითხები ღმილით. მე არა, ჩემს პატრონს აინტერესებსო და დარბაზის სიღრმეში კედელთან მდგომი კაცისკენ გამახედა. უცნობმა ჩემი მზერა დაიჭირა, გაიღმა და თავი დაიხრია. მეც ვუთხარა, თქვენ იქნებ არც აკავიათ, არის ასეთი ქვეყანა კავკასიაში, საქართველო, იქიდან ვარ-მეთქი, ქართველი. ოფიციალტმა პატრონისკენ გაიხედა და დაუდასტურა – სი! სი! ჯორჯიანი... მერე, ისევ მომიტრიალდა და მიიხრია: თქვენ დაბატიყებული ბრძანდებით. ჩვენს რესტორანში ასეთი ტერადიციაა, ქართველებს ფულს არ ახდევინებენო. ძალიან გავოცდი. მერე მამასთან რესტორნის მეპატრონე მოსულა, ჩამომჯდარა მაგიდასთან და რამდენიმე ჭიჭა წითელი ღვინოს თან-ღვინოებით ასეთი ისტორია მოუყვლია: ეს ამბავი მაშინ მომხდარა, როცა მე დაბადებული არ ვიყავი. მამაჩემისგან ვიცი ყველაფერი, თავად ყოფილა იმ დროს ახალგაზრდა, რესტორანს კი მამამისი, ანუ ჩემი ბაბუა პატრონობდა. იმ პერიოდში, ანუ 1870-იან წლებში რესტორნები ცუდ დღეში ყოფილა. ჩვენი რესტორანიც პრაქტი-

კულად გაკოტრებულია. ერთ საღამოს ბაბუაჩემი მაგიდასთან ზის და ვალებს ანგარიშობს. მამაც მის გვერდით ყოფილა, რესტორანი ტრადიციულად ცარიელია. მოულოდნელად შემოსულა სამი მამაკაცი. მამა იხსენებდა, ორი სულ ყმაწვილი იყო, მესამე კი შედარებით უფროსი. გრძელი შავი წვერი მკერდზე ჰქონდა დაფენილი. სამივე ტანადი და მალალი, მაგრამ ის წვერიანი განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახოვანებით. დასდნენ, ღვინო და ცოტა მისაყოლებელი შეუკვეთეს. ღვინოსა და საქმლის მარაგიდან შემორჩენილი რაღაც ნარჩენები მამას თავის ხელით მიუტანია. ისინი რომელიღაც გაუგებარ ენაზე საუბრობდნენ, თან ღვინოს სვამდნენ. მერე უეცრად სამივე ფეხზე წამოდგა, გავიფიქრე, გაქცევას ხომ არ აპირებენ-მეთქი და მეც წამოვიწიე სკამიდან. სწორედ ამ დროს, სიმღერა ნამოწყეს, სიმღერა, მაგრამ რა სიმღერა, გამოცარიელებული, თითქოსდა დათლებული დარბაზი ღვთაებებმა ხმებზე გაავსო. სამივე ლამაზად მღეროდა, მაგრამ იმ წვერიანს, ბანს რომ ამბობდა, მთლად ქუხილი ამოსდიოდა ყელიდან... მერე რაც მოხდა, ასეთი რამ ალბათ ზღაპარში თუ ხდება, ცოტა ხანში ხალხით გაჭედოდა რესტორანი. დარბაზმა ყველა რომ ვერ დაიტია, ქუჩაში, გამოდებული ფანჯრებთან იდგა ხალხი და ისე ისმენდა უცხო სიმღერებს. ისინიც აღარ ჩერდებოდნენ, მათაც იგრძნეს სიტუაციის სიღამაზე და გალაღდნენო. ბაბუას მამაჩემი ღვინოს სასესხებლად მეზობლებთან გაუგზავნა. იმდენ ხალხს ჭამა-სმა ხომ უნდოდა... როცა ეს იმპროვიზებული კონცერტი დასრულებულია და მომღერლებსაც ნასვლა დაუპირებიათ, ბაბუაჩემი მილაღმა მათთან და უთქვათ: უკვე გაკოტრებული ვიყავი, თქვენი თავი ალბათ ღმერთმა გამომიგზავნა. ამ ერთმა საღამომ მთელი თვის ნავაჭრი დადაფარა. ვერ უთქვამს, გთავაზობთ, მერე გადაუკეთებია, კი არ გთავაზობთ, დახმარებას გთხოვთ, ყოველდღე თუ არა, როცა გეცლებათ, მობრძანდით, ჩვენთან ისადილეთ და ივხსმეთ, რამდენიც გნებავთ იმდენი ღვინო მიირთვით, რა თქმა უნდა უფასოდ, ოღონდ იმღერეთო. წვეროსანს უთქვამს: კაცს თუ უჭირს და შენ დახმარება შეგიძლია, მაგაზე უარის თქმა არაა ჩვენი წესი, ოღონდ ერთ რამეში ვერ დაგეთანხმებით, თუკი უფასოდ ვსვით და ვჭამეთ, მაგას დახმარება კი არა, სხვა რამე ჰქვია... მოვალა, როცა შეგვეძლება, ოღონდ ფულსაც გადავიხდითო – იტალიურად მხოლოდ ის ლაპარაკობდაო. იმ საღამოდან მოყოლებული თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ თურმე. მოდიოდნენ და რესტორანშიც ზეიმი იწყებოდა. მთელ მილანს მოედო ეს ამბავი. რიგები დადგა ჩვენს რესტორანში მოხვედრათ.

ერთ მშვენიერ დღეს, როგორც მოულოდნელად გამოჩნდნენ ისინი, ასევე მოულოდნელად გაქრნენ. ერთი მათგანი უეცრად გარდაცვლილა, 24 წლის ბიჭი. მეორე კი საშობლოში დაბრუნებულია. დაკრძალვის ხარჯები ბაბუას გაუღია, მის საფლავსაც დღემდე ჩვენი ოჯახი უწლის. თუმცა, მათ რაც გააკეთეს, იმასთან ეს რა მოსახტანია. აბა, შეხედეთ, დღეს აქ რასაც ხედავთ, ყველაფერი იმ ქართველი მომღერლების დამსახურებაა... ჰოდა, ბაბუა-

ჩემმა ანდერძი დატოვა, რომელსაც მამაც ასრულებდა, მეც მისი ერთგული ვარ და ამ ანდერძის ერთგული იქნება ჩვენი გვარის ყველა მომდევნო თაობა – ამ რესტორანში ქართველს ფულს არ გადაახდებიან...

ქართველი ინჟინერი ოზურგეთში დაბრუნებულია, გაუკითხავს და იმ სამი მომღერლიდან მხოლოდ ერთ-ერთის ვინაობა დაუდგენია. ახოვანება, გრძელი წვერი და ქუხილივით ხმა მხოლოდ ერთ კაცს ჰქონდა იმ დროს, ცნობილი საოპერო მომღერალს, **ფილიმონ ქორიძეს**. აი, ეს კაცი ჩამოსულა 1880 წელს მილანიდან თბილისში. მისი ჩამოსვლის მიზანი მთლად ნათლად არ იკვეთება, მაგრამ დიდი ალბათობით იგი თბილისის საოპერო თეატრის რომელიმე სპექტაკლში სამღერად მოიწვიეს. ფილიმონ ქორიძესაც მოუსმინეს ალბათ თბილისელებმა და იგი უკან, მილანში დაბრუნებას აპირებდა, როცა მისი სასტუმროს ნომრის კარი უცნობმა ადამიანებმა შეადგეს ერთადერთი შეკითხვით – შესაძლებელი იყო თუ არა ქართული გალობის ნოტებზე სრულყოფილად გადატანა. ისინი გურული მგალობლები იყვნენ.

ფილიმონ ქორიძესაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უთქვამს – რა თქმა უნდა, შეიძლებაო, მაგრამ რაკილა მგალობლებს დაეჭვება შეუძლებელია და მეორე დღისთვის დაუბარებია. თავად ფილიმონ ქორიძე მოგვიანებით ასე იხსენებდა ამ შეხვედრას: „*მე ისინი მეორე დღისთვის დავიბარე, მოვიდნენ, იგალობეს, ჯერ დავანწყვე ნოტებზე, მერე ვუვალაო მათი ნათქვამი და ფორტეპიანოზეც გაავაგონე ახლად ჩანერილი გალობები. მაშინ კი დარწმუნდნენ, რომ ქართული გალობის ნოტებზე დაწყობა შესაძლებელი ყოფილა*“.

მთელ ქალაქში გახმაურდა ეს ამბავი. ისევ გაღვივდა იმედის ნაპერწკალი, ეგებ, ფილიმონ ქორიძე გახდეს ის კაცი, ვინც ქართული გალობა ნოტებზე გადაიტანოს; მაგრამ, ეს ხომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, სრული უტოპია, რადგან ფილიმონს წინ იტალია ელოდა, რიოდე-ჟანერი ელოდა, პეტერბურგის საიმპერატორო თეატრი, ტურინი, ლიგორი, ნეაპოლი, ჯენოვა, პავია... რაც მთავარია, ელოდა მილანის ლა-სკალა და დიდი მყუდრო ბინა, რომლის აივანი ამ ქალაქის მთავარ ქუჩას – ილ-კორსოს გადაჰყურებდა, ქუჩას, რომელზეც დღემდე ჩქეფდა სიცოცხლე. ანდა, გინახავთ სამემ, საოპერო მომღერალი უცნობ რესტორანში მხოლოდ იმიტომ მღეროდეს, იმ რესტორნის პატრონს უჭირს და უნდა დავეხმაროო? არა, არც ასეთი რამ ხდება სამემ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მოხდა... იგი უარს ამბობს ყველაფერზე, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, უარს ამბობს იტალიაში დაბრუნებაზე და მთელ დარწმუნულ სიცოცხლეს ქართულ გალობას ჩუქნის.

მილანის ნაცვლად ოზურგეთში, გურიის პატარა პროვინციულ ქალაქში მიდის. იქ ვინმე ფირცხალაშვილის სახლში ერთ ოთახს ქირაობს, თბილისიდან ფისპარმონია მიაქვს და პრაქტიკულად სიცოცხლის ბოლომდე, ანუ 1911 წლამდე იქ ცხოვრობს მარტოდმარტო. სიცოცხლის ბოლო 28 წელიწადი ქართული საგალობლების ნოტებზე გადატანას მოახმარა და ნოტებზე ჩანერილი 5532 საგალობელი დაგვიტოვა.

საინტერესოა, ახსოვთ თუ არა ფილიმონ ქორიძე მშობლიურ კუთხეში, მღერიათ თუ არა მის მიერ გადარჩენილ საგალობლებს?

ფილიმონ ქორიძის გარდაცვალებიდან 115 წელი გავიდა. ამ დღეებში ადამიანის შესახებ ცოტამ თუ იცის საქართველოში. ოზურგეთში, სადაც ფილიმონი ცხოვრობ-

და, გურულებმა კვარცხლბეკი დაუდგეს. მისი საფლავი დაკარგულია. საგარეუდოდ, ძველის ახლოს უნდა იყოს დაკრძალული.

რატომ არჩია ფილიმონ ქორიძემ მსოფლიო პოპულარობას გურიის პატარა ქალაქში განმარტოება და სოფელ-სოფელ საგალობლების საცხენლად სიარული?

ვფიქრობ, ამას ერთადერთი ახსენა აქვს. იქნებ იგი ცოტა პათეტიკურადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ სიმართლეა. როცა გააცნობიერა, რომ მისი ცოდნა სამშობლოს სჭირდებოდა, მაშინვე დაუფიქრებლად თქვა უარი ყველა სიკეთეზე და იქ წავიდა, სადაც ქვეყნის მომავლისთვის იყო საჭირო. მე მის საქციელს სხვა ახსნას ვერ ვუძებნებ და ჩემს ვარაუდს ის ფრაზაც ამტკიცებს, ძველ ხელნაწერებში რომ მივაგვინო. მე უფლებს უთქვამს მისთვის – ფილიმონ, საოპერო კარკერაზე უარის თქმის სათავე და ფიქრები შენი სამშობლოს ძახილი არისო...

ფილიმონ ქორიძის გარდაცვალების შემდეგ ამ კეთილ საქმეს ესტატე კერესელიძე აგრძელებს. გვიამბეთ მის შესახებ.

ფილიმონ ქორიძე გარდაცვალების წინ, მემკვიდრე მიხელს ამ სიტყვებით ემშვიდობება: „*ჩემს ჩანერილს უპატრონე, შვილო, არ დაიკარგოს. ძალიან მეშინია, მთელი ეს განძი, ჩემ შემდეგ სადმე სარდაფში ან რომელიმე მუზეუმის საცავში თავგების სახრავი არ გახდეს*“... ფილიმონის გარდაცვალების შემდეგ ოზურგეთში, მის ბინაში, დამტკრეული საათისა და რამდენიმე დახვეული ფურცლის გარდა ვერაფერს მიაგნეს, ხელნაწერი ნოტები გაქრა. თუკი ისტორიამ რაიმე ჩაიფიქრა, შუაგზაზე არასოდეს მიატოვებს, ერთ რჩეულს მეორეთი ჩანაცვლებს, რათა მთავარი აღსრულდეს. საგალობლების გადასარჩენად მარტო ფილიმონის შრომა არ აღმოჩნდა საკმარისი, საჭირო იყო მეორე ადამიანის ძალისხმევა, რომ ამ სინდინდეს ჩვენამდე მოეღწია. სწორედ ეს მეორე ადამიანი იყო **ესტატე კერესელიძე**. ფილიმონმა და ესტატე კერესელიძემ ერთმანეთი გურული მგალობლის, **მელქისედეკ ნაკაშიძის** მემკვიდრე გაიცნეს.

განგება ესტატე კერესელიძეს დიდ მისიას აკისრებს, გალობამ ის ისე გაიტაცა, რომ ფილიმონ ქორიძე მხოლოდ მას ანდობდა საგალობლებს ჩანერას. ფილიმონმა ესტატეს ევროპული სასოტო დამწერლობა საგანგებოდ შეასწავლა. ესტატეს თურმე განსაკუთრებული ნიჭი და ლამაზი კალიგრაფია აღმოაჩნდა, ფილიმონი მხოლოდ მას ანდობდა საგალობელთა სასოტო ხელნაწერების გადათეთრებას. სწორედ ამიტომ გახდა ესტატე ფილიმონის გარდაცვალების შემდეგ ფასდაუდებელი განძის ერთადერთი მემკატრონე. ცხოვრება არჩევანს ყველას სთავაზობს, გზას ისტორიისკენ ერთეულები ირჩევენ. სავარაუდოდ, ფილიმონ ქორიძეს საგალობლების ძირითადი ჩანაწერი ჰქონდა ესტატესთვის ჩაბარებული. „*სულის მოთქმის დრო არა გვაქვს, რაც ჩანერილია ერთი შეხედვით არ არის იმისა, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობს*“. მაქსიმე შარაძესა და ესტატე კერესელიძეს სტამბა ჰქონდათ თბილისში. ფილიმონის მიზანი სწორედ ამ ხელნაწერების დაბეჭდვა იყო. სამწუხაროდ, ვერ მაქსიმე შარაძე გარდაიცვალა და მერე თავად ფილიმონი. ასე დარჩა ამ ფასდაუდებელი განძის ერთადერთი მემკატრონი ესტატე კერესელიძე.

ამის შემდეგ კვლავ გრძელდება საგალობლების ხელნაწერების უცნაური და სევდიანი თავგადასავალი...



„გზამკვლევი“ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის

საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (შემდგომ ტექსტში – „დანესე-ბულეზა“) მიერ, სახელმწიფო საფინანსო, მათ სარგებლობაში არსებული სახელმწიფო უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები) მესამე პირებზე კონკურსის ფორმით დროებით სარგებლობაში გადაცემის პროცედურების და კონკურსისა და აუქციონის შედეგებზე დაყრდნობით წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების პირობებს.

კონკურსისა და აუქციონის შედეგებზე დაყრდნობით გარიგების (ხელშეკრულების) დადება

მოგესალმებით პატივცემულო მკითხველო და ვაგრძელებთ საუბარს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (შემდგომ ტექსტში – „დანესე-ბულეზა“) მიერ, მათ სარგებლობაში არსებული სახელმწიფო უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები) მესამე პირებზე დროებით სარგებლობაში გადაცემის პროცედურებზე. დღეს განვიხილავთ აუქციონის ფორმით ქონების გაცემის პროცედურებსა და კონკურსისა და აუქციონის შედეგებზე დაყრდნობით წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების პირობებს.

წინა ნომერში ვისაუბრეთ უძრავი ქონების კონკურსის ფორმით დროებით სარგებლობაში გადაცემაზე (საკონკურსო პროცედურებზე). ისევე როგორც კონკურსი, აუქციონიც კონკურსის სახესხვაობაა ხორციელდება, თუმცა მათ შორისაც არის განსხვავება და ეს განსხვავება ძირითადად თავად აუქციონის ჩატარების – აუქციონის დღის პროცედურაა.

■ აუქციონის ორგანიზებისას, ისევე როგორც კონკურსის ორგანიზებისას ხდება შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნება და გამოქვეყნების წესი იდენტურია, გარდა ერთი გამონაკლისისა. კერძოდ, აუქციონის ორგანიზებისას გამოქვეყნებას ექვემდებარება სავაჭრო ბიჯის სიდიდე და აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი, რომლის ოდენობას განსაზღვრავს დანესებულება.

■ სავაჭრო ბიჯი წარმოადგენს თანხის იმ ოდენობას, მინიმუმ რა ოდენობითაც შეუძლია აუქციონის დროს ვაჭრობაში მონაწილე პირმა ვაზარდოს (ანსონი) ქონების საწყისი ფასი, ხოლო ბილეთი წარმოადგენს დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც აუქციონში მონაწილეს ეძლევა ბილეთის ნომრის მქონე დაფა – ვაჭრობაში მონაწილეობისათვის.

■ კონკურსისგან განსხვავებით, აუქციონის ორგანიზების მიზნით, დანესებულება ქმნის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას, რომელშიც შედიან კომისიის თავმჯდომარე, აუქციონატორი, რეგისტრატორი, კომისიის მდივანი და სააუქციონო კომისიის წევრები. კონკურსისაგან განსხვავებით აუქციონში მონაწილის შესახებ შესაბამისი ჩანაწერები კეთდება სპეციალურ – „აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში“. შესაბამისად, აუქციონი უფრო მოსახერხებელია იმ მხრივ, რომ დანესებულებას არ ესაჭიროება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე კომისიის შექმნა, ვინაიდან უფლებამოსილია შექმნას მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც მოქმედებს (მუშაობას) ინტეგრირებული შენობა-ნაგებობის გაცემის ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს. თუმცა, ამ შემთხვევასაც აქვს გარკვეული თავისებურებები. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც დანესებულების რომელიმე პასუხისმგებელი პირი იცვლება და ამ დროს იგი კომისიის შემადგენლობაში იყო შეყვანილი, საჭირო ხდება კომისიის შემადგენლობის შესახებ დანესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შინაარსში ცვლილების განხორციელება.

■ რამდენადაც ხვდებით, აუქციონი (გარდა მისი მოსამზადებელი პროცედურებისა, რომელიც კონკურსის მოსამზადებელი პროცედურების თითქმის იდენტურია) სწორედ ისე ხორციელდება, როგორც ეს თქვენ არაერთხელ გინახავთ, თუნდაც ტელევიზიის მეშვეობით. აუქციონში მონაწილე აუქციონის დანესებულება შედის დარბაზში, სადაც იმართება აუქციონი, აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს. აღნიშნულის შემდგომ აუქციონატორი ადარებს გაცემული ნომრის დაფების რაოდენობას შემოსული განაცხადების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს აუქციონში მონაწილეთა რაოდენობას.

■ აუქციონის აწყობას აუქციონატორი ვაჭრობის დანესებვისას აუქციონატორი აცხადებს ქონების დასახელებას, საწყისი ქირის ოდენობასა და ბიჯს. აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება საწყისი ფასის გამოცხადების მომენტი. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.

■ აუქციონში მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, სწევს თავის დაფას (რაც ნიშნავს საწყის ფასზე ბიჯის დამატებას), აუქციონატორი აფიქსირებს მას და სთხოვს აუქციონში მონაწილეებს, გააგრძელონ ვაჭრობა მანამ, სანამ რომელიმე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ფასის სამჯერ გამოცხადებისა და აუქციონატორის მიერ ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ სახელმწიფო ქონება ითვლება სარგებლობის უფლებით გადაცემულად იმ აუქციონის მონაწილისათვის, ვინც აუქციონატორს ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა.

■ აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც აისახება სააუქციონო ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმი იწოდება ქრონოლოგიურად. ოქმს ხელს აწერენ გამარჯვებული, აუქციონატორი, სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე და სააუქციონო კომისიის მდივანი.

■ თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

■ თუ აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ აუქციონის მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ და აუქციონის მონაწილეებს შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

■ აუქციონის შედეგების ოქმი და სრული დოკუმენტაცია გადაეცემა დანესებულების ხელმძღვანელ თანამდებობის პირს, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს მას აუქციონის დასრულებიდან 10 დღეში.

■ კონკურსისა და აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარულ-

ლი დღისა გამარჯვებული ვალდებულია დანესებულებასთან გააფორმოს ხელშეკრულება.

■ ხელშეკრულებაში შეიტანება: ინფორმაცია ქონების სარგებლობის უფლებით გამცემისა და ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების შესახებ; სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების დასახელება და/ან მისამართი; ქონების შემადგენლობა, სარგებლობის ფასი და სარგებლობის ვადა; საკონკურსო ან სააუქციონო პირობებიდან გამომდინარე მხარეთა ურთიერთვალდებულებები ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ; სხვა მონაცემები გამოცხადებული კონკურსის ან აუქციონის და გასაფორმებელი ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

■ ხელშეკრულება აუცილებლად უნდა შეიცავდეს გადაცემული ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის პირობებს, თანხის გადახდის ვადებსა და კანონმდებლობის მოთხოვნებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს. ამ შემთხვევაში ყველაფერი რა თქმა უნდა ნათელია გარდა პირგასამტეხლოს საკითხისა, რომელიც საჭიროებს დაუსტებას. კონკურსისა და აუქციონის შედეგად დასადებ ხელშეკრულებაში პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით – ქირის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში: ქირის 0,1 პროცენტი დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; საინვესტიციო ვალდებულებათა შეუსრულებლობის (ასეთი არსებობისას) შემთხვევაში – დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1 პროცენტი დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების მიერ სხვა სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით. შესაბამისად დგინდება, რომ გარდა ზემოაღ-

ნიშნული ორი სავალდებულო ხასიათის პირგასამტეხლოს სახეობებისა (საინვესტიციო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო შეტანილი უნდა იქნეს ხელშეკრულებაში და არსებობს იმ შემთხვევაში, თუ კონკურსი ან აუქციონი გამოცხადებული იყო საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების პირობებით), ხელშეკრულებაში შესაძლოა მოხდეს სხვა სახის პირგასამტეხლო, რაც დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დანესებულების გადაწყვეტილებაზე ქონების დროებით სარგებლობაში მიმღებთან შთანხმებით.

■ ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები ვალდებულია, მიღებული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ქონების სარგებლობის უფლებით გამცემის მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მას ინფორმაცია ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

■ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს ქონების სარგებლობის უფლებით გამცემთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება კონკურსის ან აუქციონის ფორმით გაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით, ან სხვაგვარად დატვირთოს. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობისათვის.

■ საჯარო სამართლის იურიდიული პირი უძრავი ნივთის კონკურსის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ინფორმაციას გადაცემიდან 1 თვის ვადაში წარუდგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

საკონსულტაციო/ანალიტიკური ჯგუფი „მ.ე.ს. ექსპერტი“.

MES-EXPERT

თქვენი შეხედულებით პრობლემატური კითხვების დასმა და კონკრეტული სატრენინგო თემების მოთხოვნა შესაძლებელია ქვემოთ მითითებული ელფოსტის მეშვეობით, ასევე „მ.ე.ს.-ექსპერტი“ დირექციასა და გაზეთ „ახალი ვანთალების“ რედაქციასთან სატელეფონო კონტაქტით.

ინფორმაცია ჩვენ შესახებ

საკონსულტაციო/ანალიტიკური ჯგუფის – „მ.ე.ს.-ექსპერტი“ ძირითად მიზანს წარმოადგენს საჯარო სკოლების საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ფუნქციონირების ხელშეწყობა.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის გარდა თქვენ ასევე შესაძლებლობა გაქვთ, პირადად მოლაპარაკების საფუძველზე, მიიღოთ შემდეგი სახის მომსახურება:

- ფინანსური/იურიდიული საქმიანობის ანალიზი (სრული დოკუმენტური შემოწმება);
- იურიდიული მომსახურება – ერთჯერადი და მიმდინარე;
- ფინანსური მომსახურება (ურთიერთობა შესყიდვების სააგენტოსთან და სხვ.) – ერთჯერადი და მიმდინარე;
- აუდიტი (უძრავ/მოძრავი ქონების, საიჯარე ფართისა და პირობების შეფასება და სხვ.);
- საკონსულტაციო მომსახურება;
- ტრენინგების შეკვეთა და სხვ.

ჩვენი ელფოსტის მისამართია: mes_expert@yahoo.com

საქონტაქტო ტელეფონები:

8(99) 92 25 95 – გიორგი ტრაპაიძე, 8(99) 30 52 55 – რამაზ გულარაშვილი

სკოლარი

ასე დაიწყო ხელნაწერებმა მოგზაურობა თბილისიდან ქუთაისამდე. თუმცა იქაც ვერ მოინახა სათავსო საგალობელთა კრებულების უსაფრთხოდ შესანახად. მისი ნაწილი განადგურდა კიდეც. ამბობენ, ხელნაწერთა ნაწილს ქუთაისის ბაზარში, ხორცის გამყიდველებთან მიაგნეს, ქართული საგალობლების ნოტებს ხორცის შესახვევად იყენებდნენ ქუთაისელი ყასბები.

დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, ესტატემ გალობათა დიდ მცოდნეს, მამა რაჟდენს სთხოვა ფილიმონ ქორიძის ჩანერილი საგალობლებისათვის დარჩენილი ხმები მისადაგებინა. დიდი ხანი მუშაობდნენ ერთად. ამ პერიოდში საქართველოში რევოლუცია მიმდინარეობდა, უსაფრთხოების მიზნით ესტატემ მთელი არქივი სწორედ მას მიაბარა. საგალობლების უკან დაბრუნების-

სას, განრისხებულმა მამა რაჟდენმა, ანაზღაურება არასაკმარისად მიიჩნია და კრებულებიდან დანით ამოჭრა მისი ნაგალობელი და ესტატეს მიერ ნოტებზე ჩანერილი ფურცლები. ამის შემდეგ ესტატი იძულებული ხდება, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ისევ ნაწილ-ნაწილ მიიღოს მამა რაჟდენისაგან დანით ამოჭრილი ფურცლები და თავიდან დაიწყო ნოტების გადაწერა. ამ საქმეს ერთი წელიწადი მოაწლო.

1912 წელს ესტატი კერესელიძე მორჩილად გამწესდა გელათის მონასტერში. იმავე წლის 23 დეკემბერს კი ბერად აღიკვეცა და მისი სასულიერო სახელი გახდა ექვთიმე. სწორედ გელათის მონასტერში განაგრძობდა საგალობლების აღდგენას ექვთიმე. თურმე ხშირად ეუბნებოდნენ მონასტრის ძმები – სულ წერ და წერ დღე და ღამე, ნეტა რა

სარგებლობას ნახულობ, ტყუილად რად უჭირვებ საკუთარ თავსო?... „მე მაგას არა ვფიქრობ, პირიქით, მე ამში ვყოვლობ დიდ სიმდიდრეს. ეს თითონ ფულია, ძვირფასი განძია, ოქრო ვერცხლზე და თვალ მარგალიტზე უძვირფასესი საუკუნო საუნჯეა!.. ხანდახან გაკვირვებაში მოვდივარ: ვინ მოუშვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე, რომ მე უღირსი იმამი ხელს ვურეგ-მეთქი“. ამგვარი ფიქრით უპაუხებდა თურმე ექვთიმე. მოგეხსენებათ, 1924 წლიდან საქართველოში განსაკუთრებით ძლიერდება კომუნისტური ტერორი. ციხეში აღმოჩნდა თითქმის ყველა მღვდელმთავარი. გელათის მონასტერი კი საერთოდ დაკეტეს. ექვთიმე იძულებული გახდა, კიდევ ერთხელ გადაემალა ხელნაწერები. ჯერ გელათიდან ქუთაისში დააბრუნა და გადაამალა. შემდეგ კი რკინის

კუთებში ჩააწყო საგალობელთა კრებულები და ურმით სვეტიცხოვლის ტაძრისკენ დაადაგა გზას. 1932 წელს ექვთიმე ზედაზნის მონასტერში გაამწესეს. საგალობელთა კრებულებიც თან წაიღო და თავის დაზღვევის მიზნით ზედაზნის მონასტრის ეზოში მიწაში დამარხა. სამი წელიწადი ინახავდა ზედაზნის მიწა ქართულ საგალობლებს. საქართველოში სიტუაცია ოდნავ დათბა თუ არა, ექვთიმემ გადაწყვიტა გაემყლავებინა მისი მთავარი საიდუმლო. 1935 წლის 30 ნოემბერს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს 36 სანოტო კრებული ჩააბარა, რომელიც 5553 საგალობლისა და რამდენიმე სასულიერო შინაარსის ხელნაწერისგან შედგებოდა. წმინდა ექვთიმემ, სიცოცხლის რისკის ფასად, საკუთარი კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის ფასად გადაარჩინა

ქართული სულიერი მემკვიდრეობის ერთი დიდი ნაწილი და მომავალ თაობებს მისცა საშუალება, ზიარებოდნენ წინაპართა მიერ ასე ლამაზად სახელდებული „ხმა ღვთისას“.

1944 წელს ექვთიმე ზედაზნის მონასტერში აღესრულა სრულიად მარტო. 2003 წლის 18 აგვისტოს კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა.

დაბოლოს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ფილიმონ „გალობის რაინდები“ რეჟისორსა და მთელ შემოქმედებით ჯგუფს ამ ორი დიდი ქართველის ფასდაუდებელი ღვაწლის ასე ესთეტიკურად წარმოჩენისათვის.

ესაუბრა მამა ყიფიანი

XX საუკუნის ქართველი კალიგრაფისტები

„მოგესალმებით ძვირფასო თანანერგებო და თანაფესვებო, ნება მიბოძეთ მოგილოცოთ ორი ბრწყინვალე დღესასწაული: აღდგომისა და დედაენის დღე. როგორც უწმინდესი და უნეტარესი ბრძანებდა, ქართული ენა მსოფლიო საოცრებაა, ის არის მუსიკა არამინიერი, არამედ ზეციდან გადმოსული, სულიერი მუსიკა. როცა ადამიანს შეუძლია ოთხი საუკუნის შემდეგ, საქართველოდან ძალიან შორს, ილაპარაკოს ქართულ ენაზე, ეს მართლაც საოცრებაა. თავს არ შეგანყენო ჩემი საუბრით, მაგრამ ერთს მაინც გეტყვით, მეამაყებთ, ასეთი შვილი რომ გავზარდე, შვილი, რომელსაც სამიათასი კილომეტრი იქნებოდა, ქართულად ტირილიც კი შეუძლია.“ – ამ სიტყვების ავტორი ფერეიდნელი ქართველია, გვარად მულიანი, მისი საამაყო შვილი კი – ტარიელ მულიანი, რომელიც 14 აპრილს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და „ნამის“ ერთობლივად ჩატარებული კონკურსის – 21-ე საუკუნის ქართველი კალიგრაფისტები – ერთ-ერთი გამარჯვებულია, რომლითაც მხოლოდ მამა კი არა, ჩვენც ვიამაყებთ. ქართული ხელნაწერის ფერეიდნელი ქომაგისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სპეციალური პრიზი დაანება.

კონკურსს სხვა პრიზიორებიც ჰყავდა, რომლებმაც 21-ე საუკუნის ქართული კალიგრაფია ძალიან საინტერესო ნამუშევრებით წარმოგვიდგინეს.

პროექტის მიზანი ახალგაზრდებში ხელით წერის კულტურის განვითარება და მათი შემოქმედებითი უნარის წარმოჩენა იყო. კონკურსში მონაწილეობდნენ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების V-XII კლასის მოსწავლეები, ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც.

119 ფინალისტი კალიგრაფისტი 10 ათასზე მეტი მონაწილედან შეირჩა, ისინი ამ დღეს უამრავი პრიზით დაჯილდოვდნენ. ნომინაციებში გამარჯვებულ კონკურსის მონაწილეებს სპეციალური პრიზები გადასცეს: საპატრიარქოში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში, სამხატვრო აკადემიამ, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, საზოგადოებისათვის ცნობილმა ადამიანებმა, გამოქვეყნდნენ და სხვა ორგანიზაციებმა. ყველა ფინალისტს გადაეცა სიგელი და სიმბოლური საჩუქარი, გამარჯვებულ მოსწავლეებს კი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, აკაკი სეფერთელაძემ დიპლომები და პორტატული კომპიუტერები გადასცა.

ბუბა კუდავა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი: „კოლეგებთან და მეგობრებთან ერთად, რამდენიმე წელია, ვფიქრობთ ამ დარგის განვითარებაზე, რომელმაც რატომღაც, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, უკანა პლანზე გადაიხია. არადა, მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში კალიგრაფია ქართული ხელოვნების ნამყვან დარგად ითვლებოდა. შემდეგ შემოვიდა ბეჭდური ნივთის კულტურა, შემდეგ ელექტრონული ტექნოლოგიები განვითარდა, ეს ობიექტური ფაქტორებია. რაც შეეხება სუბიექტურს – ეს თითოეული ჩვენგანის ინერტულობაა, არადა დღესაც არაერთ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა ორიგინალური დამწერლობა, კალიგრაფიას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. როდესაც ამ დარგის აღორძინებაზე ვფიქრობდით (საქართველოში დღეს მოქმედ კალიგრაფებთან ერთად – **ლევან ჩაგანავა**, **ლამა კინწურაშვილი** და სხვები) ყველას ერთი აზრი გვქონდა, დღეს ამ დარგს სათანადო ადგილი არ უჭირავს ქართულ ხელოვნებაში. ამ საქმისთვის კათოლიკოს პატრიარქის ლოცვა კურთხევა გვჭირდებოდა. გასულ წელს, ჩვენს ცენტრში, ქართული ხელნაწერის საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა. იქ სიტყვით გამომრძანებულმა კათოლიკოს პატრიარქმა ზაზი გაუსვა ქართული კალიგრაფიის აღორძინების აუცილებლობას, კონკურსის იდეაც სწორედ მას ეკუთვნის. არასამთავრობო, სამთავრობო და კერძო სექტორმა ერთობლივად შევძელით ამ იდეის განხორციელება. უკვე ვიცით ის რესურსი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს შემდგომი პროექტები. გამოჩნდა არაჩვეულებრივი საზოგადოება ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის სახით, რომელთა დიდი ნაწილი უკვე კალიგრაფია, ნაწილს კი ცოტა მეტი მუშაობა სჭირდება. არ შემიძლია დიდი მადლობა არ ვუთხრა ყიურის ყველა წევრს, მათ მართლაც დიდი შრომა გასწიეს – 10 ათასი ნაშრომის განხილვა-დაკვირვება-შერჩევა უდავოდ დიდ შრომას, ღამეების თენებასაც კი მოითხოვდა. მადლობა ყიურის ყველა წევრს თავმჯდომარის, ბატონ თამაზ ვარგარიძის ხელმძღვანელობით.“

პატრიარქის ინიციატივის – 21-ე საუკუნის ქართული კალიგრაფიის აღორძინების მხარდაჭერითა რიცხვი მართლაც დიდი აღმოჩნდა.



წელს, კონკურსში მონაწილეთა რაოდენობა 10 ათასი მოსწავლეთი შემოიფარგლა, მომავალი წლიდან კი კონკურსი ტრადიციულად იქცევა, უფრო მასშტაბური გახდება და ყველა მსურველს, მათ შორის სკოლის ასაკის ზემოთაც კი, შეეძლება მონაწილეობის მიღება. პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორი **ზაზა კორინთელი** 119-ე ფინალისტს გამარჯვებულს უწოდებს და მითითებს დაგვიტყვიან მონაწილეებსა და ღონისძიებებზე გვესაუბრება: „მომავალი წლიდან კონკურსი ტრადიციული გახდება და ყველა მსურველს ექნება მონაწილეობის მიღების უფლება. გარდა ამისა, სამომავლოდ ძალიან კარგი გეგმები გვაქვს, რომელთა განხორციელებასაც აუცილებლად შევძლებთ. ეს პროექტები უშუალო კავშირშია დღევანდელი ღონისძიებების უმთავრეს მიზანთან: ძალიან კარგი იქნება, თუ დაარსდება კალიგრაფიის სკოლა, რომელიც გაერთიანებს: საკვირაო სკოლას, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში იფუნქციონირებს და მაგისტრატურის სამხატვრო აკადემიას. ჯერჯერობით, ეს იდეის დონეზეა. აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია გამარჯვებული ბავშვებისათვის გაკეთდეს საზოგადოებრივი სკოლა-ბანაკები, რომელიც დატვირთული იქნება ექსკურსიებითა თუ ლექცია-საუბრებით, ექსპედიციებით და პრაქტიკული მეცადინეობებით. ასევე, მე და ბატონ ბუბას გვინდა, გამარჯვებული ბავშვებისათვის ექსკურსია-ექსპედიცია მოვანყოს ტაო-კლარჯეთში, სადაც ჩვენი ახალგაზრდები ქართულ მექანიკურებს გაეცნობიან. იმედია, კერძო სექტორისაგან მივიღებთ მხარდაჭერას და ერთობლივად ამ პროექტის განხორციელებასაც შევძლებთ. ასევე მინდა გითხრათ, რომ სპეციალურად „არტ-გენისგან“ ეს მოსწავლეები მიიღებენ მხარდაჭერას ფესტივალის ფარგლებში და 7 დღის განმავლობაში „არტ-გენზე“ ერთი კუთხე ქართულ ხელნაწერთა გამოფენას დაეთმობა. მათ შესაძლებლობა ექნებათ, გამოფენის თავიანთი ნამუშევრები ფართო საზოგადოებისთვის გასაცნობად. ყველაზე მთავარი კი, რაც ჩავიფიქრე – მინდა ამ ბავშვებს ხალხური რეწვის ოსტატები გავაცნო, მეტიც, ისინი ერთმანეთს დაავაკავშირო-დავაძგეგმო. მათ შეუძლიათ ერთობლივი კომერციული პროექტებიც მოიფიქრონ. ეს ევროპაში მიღებული მეთოდია – ძირითადად, იაპონელი და ჩინელი ოსტატები, ასევე, ლათინური ქვეყნებიდან, იქვე ქუჩაშივე უკეთებენ სუვენირებს წარწერებს. ჩვენი მოსწავლეები კი თიხის ნამუშევრებს გაუკეთებენ წარწერებს, თითო ოსტატს თითო გამარჯვებული ბავშვი რომ დავამეგობრო და 7 დღის განმავლობაში ეს საქმე აკეთონ, მშვენიერი იქნება. ასე შეიძლება გახდეს „არტ-გენის“ არაერთი უცხოელი სტუმარი თუ შეგვარებული ქართველი სწავლი მათი დამკვეთი. გარდა ამისა, „არტ-გენის“ სახელით ჩვენ ვუშვებთ ყოველთვიურ ყურნალს და თორმეტივე ნომერში ეს თემა აისახება, პატარა ქართველ კალიგრაფისტებს სიაშოვნებით დაუთმობთ ყურნალის ფურცლებს.“

ყველა მონაწილეს სამკერდე ნიშანი „ქართველი კალიგრაფისტი“ დაუურიგეთ იმის დასტურად, რომ მათ ძალიან უყვართ თავიანთი ქვეყანა, დამწერლობა და ანბანი.“

პაპუნა დავითაია, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი: „ეს განსაკუთრებული დღეა, ყველას გვიხარია, რომ ამ ღონისძიებას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მასპინძლობს. ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ დღეს დიასპორის წარმომადგენლებია მონაწილეობდნენ, ისინი გამარჯვებულებიც არიან. კიდევ ერთხელ გამოჩნდა ის მოწინააღმდეგე, რომელიც საქართველოს აწვავს გარეთ მცხოვრებ ქართველებს ფაქტურის ენის ფენომენისადმი და ზოგადად ქართული კულტურისადმი.“

გულშემატკივარმა, რომლის ვინაობაც მისივე თხოვნით არ დასახელდა, გამარჯვებული ბავშვებისთვის 250 ლარი ფულადი ჯილდო დაანება.

ბუბა კუდავამ მადლობა გადაუხადა პროექტის ხელშემწყობ ორგანიზაციებსა თუ კერძო პირებს და აღნიშნა: „ასეთი თანადგომა არც ერთ დღემდე ჩატარებულ ღონისძიებაზე არ მინახავს. საგანგებოდ მინდა გამოვყო ამ აქციის დონორები: სახელმწიფო უწყებები, კერძო კომპანიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო პირები, რომელთა თანადგომამ გაამთავრებინა დღევანდელი დღე. ამ დღემ კი კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეს მართლაც საშური საქმეა. მოსწავლეები კი, რომლებმაც ვერც ერთი ნომინაცია ვერ მიიღეს, მინდა დავამშვიდო, მათ ყოველწლიურად მიეცემათ საშუალება, გამოავლინონ თავიანთი ნიჭი ამ მიმართულებით. მომავალ წელს დაემატება ცალკე ნომინაციები სასკოლო ასაკის ზემოთ მონაწილეთათვის. შემდგომში კონკურსი ოქტომბრიდან გაიმოქმედდება.“

დიდი მადლობა ყველა დონორს, ვინც ქართულ საქმეს გვერდით უდგას, მათ შორის იმ

ადამიანს, რომლის ვინაობაც რასაკვირველია ვიცი, მაგრამ მისივე თხოვნით არ სახელდება, მან გამარჯვებულებისთვის ფულადი პრიზი დაანება. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს სპონსორებს – თიხის ბანკს, რედიქსსა და ჯეოსელს, ისინი არა მარტო დღეს, არამედ ყოველთვის გვერდით უდგანან ქართული ხელნაწერის განვითარების საქმეს.“

კონკურსის ფავორიტის, პირველი ადგილის პრიზიორის, **დავით მაისურაძის** 21-ე საუკუნის ქართული ხელნაწერა არა მხოლოდ ყიურის, დამთავალიერების მართლაც დამსახურებული აღფრთოვანებას იწვევდა.

„ეს ადამიანი დახლოებით მე-15-16 საუკუნეების ქართველი კალიგრაფია, რომელმაც დროში დაიწყო მოგზაურობა და დღეს ჩვენ გვეტყობა“ – ასეთი შეფასებები ისმოდა რუსთავეის მე-17 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელებისადმი.

დავითი ინტერვიუსაც ისეთივე სითამამით გვაძლევდა, როგორც თურმე ქართული ანბანის სწავლა დაუწყია: „ხუთი წლისამ ვისწავლე წერა, რადგან ძალიან მომწონდა ასოების მოხაზულობა და მართალი გითხრათ დღემდე მზიბლავს ჩვენი დამწერლობა, ჩვენი განუმეორებელი კალიგრაფია. ამიტომაც მიეცა ჩემს ინტერესს სერიოზული სახე, გამუდმებით ვაკვირდებოდი ძველ ქართულ ხელნაწერებს. კონკურსი პირველია, თან მშვენიერი შედეგით. ჩემი ხელნაწერთა საზოგადოების დანტერესება შევეძელი, ეს ძალიან მახარებს. მართალი გითხრათ, გამარჯვებას ველოდი კიდევ, გამართლდა. მომავალში იურისტობას ვაპირებ, მაგრამ ამ საქმეს გულგრილად ვერასოდეს შევტოვებ.“

კალიგრაფთა კონკურსში გამარჯვებული ბავშვებისათვის ხელნაწერთა ცენტრის დირექტორმა კიდევ ერთგვარი პრიზის სახეობა მოიფიქრა: მთავარი გამარჯვებულების – **დავით მაისურაძე**, **გიორგი ჩაგანავა**, **გიორგი თადემაძე** და **ილინა კრისელი** – ნამუშევრები ცენტრის ყოველწლიური კალენდრის ფურცლებზე დაიბეჭდება. ეს ხომ ის თაობაა, ამ მშვენიერი ნამოსყებით, 21-ე საუკუნის ქართული კალიგრაფიული სკოლის აღორძინება რომ უნდა დაეფუძნოს.

ლალი ჯეაბაძე

„სწავლობს გიბლა ტიტინა“

პირველკლასელთათვის გამოვიდა ახალი საბავშვო ინტაბრირებული წიგნი სათაურით „სწავლობს გიბლა ტიტინა“, რომლის ავტორები არიან: პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი ნათელა მაღლაკელიძე და ძართულ-ინგლისური სკოლა „პრიტანიკის“ პედაგოგი მზია ჯიფიტიანი. წიგნი განკუთვნილია საზოგადოებრივი სკოლის მოსწავლეებს და ინტაბრირებულია. მისი მიზანია განუვითაროს მოსწავლეებს ის სწავლული უნარ-ჩვევები, რომლებიც პირველკლასში მიიღეს.

ამგვარი წიგნები დიდი ხანია აპრობირებულია ევროპის სკოლებში. მათში წარმოდგენილია დიდაქტიკური მასალა მშობლიურ ენაში, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკაში. შედგენილია 6-7 წლის ბავშვების ასაკობრივი თავიანთობისა და ინტაბრირების გათვალისწინებით.

დავალებები სხასლისო და სანიტარისო ინფორმაციის შეგვიძლია

წიგნი გაფორმებულია და დასურათებულია მხატვრულად. ავტორები იმედს იტოვებენ, რომ საზოგადოებრივი საკითხავი მასალა მოსწავლეების, მშობლების და პედაგოგების მოწონებას დაიმსახურებს.

წიგნის შექმნა შესაძლებელია ცოტან დადიანის ქუჩა №43-ში მდებარე სახელმძღვანელოების მაღაზიაში.

დავალებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: 855 10-11-78

მასწავლებელთა სერტიფიკაცია

მასწავლებელთა სერტიფიკაციის შედეგების სქემა

წილობრივი შედეგები

Table with 7 columns: №, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7. It lists various criteria for teacher certification and their corresponding scores.

მართული ენა

ბ. ამბროსი. ამ სწავლა რომ ეხმარება სწავლებელს უფრო კარგად გაეგოს მართალი ენა... მართალი ენის მნიშვნელობა... მართალი ენის როლი...

21. სწავლა რომ ეხმარება... 22. სწავლა რომ ეხმარება... 23. სწავლა რომ ეხმარება... 24. სწავლა რომ ეხმარება... 25. სწავლა რომ ეხმარება... 26. სწავლა რომ ეხმარება... 27. სწავლა რომ ეხმარება... 28. სწავლა რომ ეხმარება... 29. სწავლა რომ ეხმარება... 30. სწავლა რომ ეხმარება...

მართული ლიტერატურა

- 27. მართული ლიტერატურის მნიშვნელობა... 28. მართული ლიტერატურის მნიშვნელობა... 29. მართული ლიტერატურის მნიშვნელობა... 30. მართული ლიტერატურის მნიშვნელობა...

მართული ტექსტის ანალიზის შედეგების სქემა

Table with 3 columns: №, კრიტერიუმები, ქულა. It details the criteria for text analysis and the points assigned to each.

მართული ტექსტის ანალიზის შედეგების სქემა

ამ კრიტერიუმების მიხედვით... მართული ტექსტის ანალიზის შედეგების სქემა...

მითითების შედეგების სქემა

Table with 3 columns: №, კრიტერიუმები, ქულა. It details the criteria for the final results and the points assigned to each.

მასწავლებელთა სერტიფიკაცია

II მითითების შეფასების სქემა

Table with 3 columns: №, კრიტერიუმები, ქულა. Contains 4 rows of evaluation criteria for the second requirement.

III მითითების შეფასების სქემა

Table with 3 columns: №, კრიტერიუმები, ქულა. Contains 4 rows of evaluation criteria for the third requirement.

თუ ქულა არ აღემატება 10-ს, მაშინ მასწავლებელი უნდა გაიაროს კვალიფიკაციის ამაღლების კურსი.

ისევ სერტიფიკაციის შესახებ

ბევრი რამ დაინერა მასწავლებელთა სერტიფიკაციის შესახებ. მეც მინდა გამოვთქვა მოსაზრება, რისი უფლებაც, ალბათ, მაქვს. სასკოლო ცხოვრების ყველა სფერო ჩემთვის საფუძვლიანად ცნობილია. 20 წელი, 2007 წლამდე, ვებმძღვანელობდი სკოლას. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება ყველა დროს აუცილებელი მოთხოვნა იყო, რითაც პედაგოგებიც იყვნენ დაინტერესებულნი. სერტიფიკაცია აუცილებელი და დროულია, მათ ხომ ადრეც აქვთ ჩაბარებული საატესტაციო გამოცდა-ტესტირება.

დებულების თანახმად, ყველა მასწავლებელი ექვემდებარება სერტიფიკაციას, მიუხედავად მისი სტაჟისა და პედაგოგიური დამსახურებისა. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მასწავლებელთა მასწავლებელი, რომელიც ათეული წლებია მოსწავლეთა სწავლა-აღზრდას ემსახურება, გამოირჩევა საგნის ღრმა ცოდნით და ერთი წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე მასწავლებელი (რომელთა უმრავლესობისთვის უცხოა საერთოდ პედაგოგიკა და არ აქვთ პედაგოგიური განათლება, ნუ მიწყენენ, ზოგიერთმა საკლასო უფროსის სწორი წარმოებაც არ იცის) ერთნაირი კრიტერიუმებით არ უნდა შეფასდნენ. რა სახის ტრენინგაც არ უნდა გაიაროს მასწავლებელმა, ის ვერ გაუტოლდება მრავალწლიან პრაქტიკული პედაგოგიური გამოცდილების მქონე პედაგოგს. ძველი ახლით უნდა შევიდეს, განახლდეს. შეიძლება გამოცდა დამწყებმა პედაგოგმა წარმატებით ჩააბაროს, დაიზვიაროს პედაგოგიური თეორიები (რისი უნარიც უფრო მეტად აქვთ), მაგრამ რამდენად შეძლებს მის პრაქტიკაში გამოყენებას ეს სხვა საკითხია, ან რადგან წარმატებით გადალახა საგამოცდო ბარიერი, შეიძლება მენტორ-მასწავლებლები იყოს? მენტორ-მასწავლებელი მხოლოდ დიდი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი მასწავლებელი შეიძლება იყოს.

ჩემი აზრით, დებულებაში აუცილებლად უნდა გათვალისწინებულიყო, რომ ასეთი გამოცდილი, დიდი პედაგოგიური სტაჟის და დამსახურების მქონე მასწავლებლები სასერტიფიკაციო გამოცდებიდან გათავისუფლებულიყვნენ. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ვერ ჩააბარებენ ან ეშინიათ გამოცდის, მაგრამ ეს მათი დამსახურების მიმართ პატივისცემის გამოხატულება იქნებო-

და და მაგალითი უმცროსი თაობისათვის. თუკი დღეს მოსწავლეთა ცოდნის და დისციპლინის დონე დაბალია, ამას ბევრი მიზეზი აქვს. პირველ რიგში, მოსწავლე გაემიჯნა წიგნს, რომლის სანაცვლოდ ვერაფერს შეთავაზებთ, მოზღვავებულმა ალტერნატიულმა სახელმძღვანელოებმა დააბნია ისიც და მასწავლებელიც; მოსწავლეთა უფლებების გადამეტებულმა გაზრდამ მოსწავლეთა დაავინყა მათი მოვალეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა.

ცოტა რამ მოსწავლეთა საგნობრივი ოლიმპიადის შესახებ. უკვე მეორე წელია, აღდგა ოლიმპიადის ჩატარების ტრადიცია, რაც გამოცდილი პედაგოგებისათვის უტუხო არ არის. მე გახლავართ ქიმიის მასწავლებელი. საგნობრივ ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეებთან ყველაზე მცირე რიცხვი საბუნებისმეტყველო საგნებზე მოდიოდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ საგნების ინტეგრირებულმა, ტრიმესტრულმა სწავლებამ ძალიან ბევრი დააარსა მოსწავლეებს, რის ანაზღაურებას წლები დასჭირდება. ქიმიის ოლიმპიადებში XI კლასის ყველა საკითხი, გარდა ერთისა, იყო ორგანული ქიმია, 6 საკითხიდან 5 - ორგანული ქიმიიდან, მაშინ, როდესაც ორგანული ქიმია XI კლასის მოსწავლეთა საფუძვლიანად არ უსწავლიათ. ალბათ, შემომედავებინ, IX კლასში ხომ ისწავლესო? ვერ დავეთანხმები. IX კლასში ერთ-ერთი ტრიმესტრის მცირე მონაკვეთში ზოგადად შესწავლილი მასალა საკმარისი არ არის საგნობრივ ოლიმპიადებში წარმატების მისაღწევად. სამი წლის განმავლობაში ნასწავლი პროგრამული მასალიდან - 1 საკითხის და ერთი წლის ერთი ტრიმესტრის მცირე მონაკვეთში ნასწავლიდან 5 საკითხის შეტანა ოლიმპიადის პროგრამაში მიუღებელია, რაც მოსწავლეებზე მტკიცებულად განიცადებს.

დაბოლოს, ყველა საკითხი, ყველა პრობლემა სკოლის ცხოვრებაში ღრმად ჩახედული პედაგოგების მონაწილეობით უნდა წყდებოდეს, რომლებმაც იცინან, რა იყო სკოლა, როგორია დღეს და როგორი უნდა იყოს მომავალში და არა მათ მიერ, ვინც სკოლის კედლებს მხოლოდ გარედან უყურებს.

რიმა შარაიშვილი

გარდაბნის რაიონის თელეთის საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი

არქივიდან

იყვნენ ქართველები ნაპოლეონის ლაშქარში?

შარშან, სექტემბერში, გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა ერთი საინტერესო სურათი. მას ქვემოთ ანერია „მეგრელები“, ხოლო უკანა მხარეს, წითელი პასტით, გაკეთებული აქვს მინაწერი „მეგრელები ნაპოლეონის ბრძოლებში“. რამია საქმე? აქ ორი ვერსია შეიძლება არსებობდეს: პირველი - ესენი არიან მეგრელები, რომლებიც იბრძოდნენ რუსეთის არმიამ ნაპოლეონის წინააღმდეგ. მეორე, რაც კიდევ უფრო დამაინტრიგებელია, ეს მეგრელები მსახურობდნენ ნაპოლეონის არმიას. პირველი ვერსია სავსებით ლოგიკურია და მასში გასაკვირი არც არაფერია. რაც შეეხება მეორე ვერსიას, ფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს. ამიტომ გავყვიეთ მას. იბრძოდნენ თუ არა ეს მეგრელები ნაპოლეონის არმიას? კატეგორიულად რაიმეს მტკიცება ძალზე ძნელია, მაგრამ არც არაფერს არ უარყოფთ. თითქოსდა ამ ვერსიის სასარგებლოდ ლაპარაკობს სამფეროვანი სამკერდე ნიშანი (საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ საფრანგეთს ჰქონდა სამფეროვანი დროშა - წითელი, თეთრი, ლურჯი ფერებით), მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. ასეთი ნიშანი შეიძლება ჰქონოდა სხვა ქვეყნის (კალკულ სამხედრო შენაერთებს. ეს სხვა საკითხია, რომელსაც ამჯერად არ შევეხებით.



საუკეთესო ბიოგრაფის, ფლეიმანის წიგნში „რუსტამი ნაპოლეონის მამლუქი“.

ეს სურათი ჩვენთვის საინტერესოა სულ სხვა თვალსაზრისით. აქ ნებით თუ უნებლიეთ, წამოიჭრება ერთი ფრიალ საინტერესო და აქტუალური საკითხი. იბრძოდნენ თუ არა ქართველები ნაპოლეონის ლაშქარში? ფიქრობთ, ეს გაცილებით უფრო დამაინტრიგებელია (ეს საკითხი მხატვრული ფორმით წამოჭრილია უიარაღო რომანში „მამლუქი“). ამის გამორკვევა, ცხადია, არაა ადვილი საქმე, რადგან წყაროები, ფაქტობრივად ძალიან ძუნძ, მწირ ინფორმაციას გვაწვდიან. ეს გასაგებია. მას შემდეგ საკმაოდ ბევრი დრო გავიდა და კვალი თანდათან, ნელ-ნელა წაიშალა. ამიტომ კატეგორიულად რამის მტკიცება ძალზე ძნელია, მაგრამ ალბათობა, რომ ნაპოლეონის არმიას შეიძლება იყვნენ ქართველები, ჩვენი აზრით, არსებობს და ამის უწინარესად, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, რა გზით შეიძლებოდა აღმოჩენილიყვნენ ქართველები ნაპოლეონის ლაშქარში? რა თქმა უნდა, იმპერატორის არმიას იმის შეიძლება მოხვედრილიყვნენ მრავალი გზით, კონკრეტულად რომელიც, წყაროების სიმცირის გამო, ძალზე ძნელი სათქმელია. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ერთ-ერთი რეალური გზა მაინც ჩანს აღმოსავლური სამყარო, პირველ რიგში კი, ეგვიპტე და ერაყი, სადაც საკმაოდ მრავლად ცხოვრობდნენ გამაჰმადიანებული ქართველები.

აღუქანდრე მიქაბერიძე (თუმცა არა ამ კუთხით). აი, რაში იყო საქმე. ნაპოლეონის ბრძოლები უნდა შექმნილიყო მამლუქთა 250-კაციანი ესკადრონი. დროთა განმავლობაში ესკადრონის რიცხობრივი შემადგენლობა ხან იზრდებოდა, ხან მცირდებოდა. საბოლოოდ 590 კაცს შეადგენდა. კავკასიელებს, მათ შორის, ცხადია, ქართველებს კვალი, ნაპოლეონის მამლუქთა ესკადრონში უნდა ვეძიოთ.

გამოჩენილ ფრანგ ისტორიკოსს, ნაპოლეონის ეპოქის ერთ-ერთ კომპეტენტურ მკვლევარს, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორს, აკადემიკოს ფრედერიკ მასონს მოჰყავს ერთი საინტერესო ცნობა, რომ უმალღესი ოფიცრობის დიდ ნაწილს ასევე ჰყავდა მამლუქები. მოდი გავყვიეთ ფრანგი მასონის ამ ცნობას. ეს საინტერესოა. საქმე ისაა, რომ იმ დროს ევროპის არისტოკრატიულ სალონებში მეტად მიღებული იყო მსახურებს შორის ჰყოლოდათ ახალგაზრდა მამლუქი. ეგვიპტის ექსპედიციის მონაწილე ფრანგ გენერლებს: ლანს, მორატი, ბესიურს, ჰყავდათ ეგვიპტიდან ჩამოყვანილი მსახური მამლუქი. ცნობილია, რომ 1798 წელს ინგლისელმა ზღვაოსანმა, ადმირალმა ნელსონმა თავის სატროფოს, ემა ჰამილტონს ეგვიპტიდან ჩამოიყვანა საჩუქრად ერთი ნუბიელი ქალი.

ნაპოლეონის პირველი ვადადროის შემდეგ, მამლუქთა დიდმა ნაწილმა სამხრეთ საფრანგეთში მოიყარა თავი და ძირითადად, მარსელში დასახლდნენ. მათ ბედი ტრაგიკულ აღსასრულს უმზადებდა. ხელისუფლების სათავეში დაბრუნებული ბურბონები მამლუქებს არ ენდობოდნენ. მათთვის მიუღებელი იყვნენ თვით რიგითი ბონაპარტისტები. დატრიალდა დიდი ტრაგედია. ისტორიულ ლიტერატურაში დამონებული ფაქტია, რომ როიალისტებმა იერიში მიიტანეს მარსელში მამლუქთა კოლონიაზე, რომელიც 500 წევრს ითვლიდა და უთანასწორო ბრძოლაში გაანადგურეს ისინი. ეს მოხდა ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ, 1815 წლის ივნისის მინუტულს.

აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ნაპოლეონის მამლუქთა ესკადრონში ქართველებიც იყვნენ. კონკრეტულად რამის თქმა, მწირი წყაროთმცოდნეობითი ბაზის გამო, ძალიან ჭირს. ამ თემას უფრო მეტი შუქი შეიძლება მოჰყვინოს საფრანგეთის წიგნთსაცავებსა და არქივებში კვლევამ, თუ კვალი საბოლოოდ არაა წაშლილი, ძალიან ბევრი დრო გავიდა.

ამრიგად, კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ იმის ალბათობა, რომ ნაპოლეონის ლაშქარში ქართველები ირიცხებოდნენ, არსებობს და მისი უგულვებელყოფა უმართებულო იქნება. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ნაპოლეონის მამლუქთა ესკადრონი, შესაძლოა, ქართველებიც ირიცხენ. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ისინი ნაკლებად ცნობილები იყვნენ და მათი სახელები ისტორიამ ვერ შემოგვიწინა. ცნობილი იყო მხოლოდ ერთი - ნაპოლეონის მამლუქი რუსტამი. ის თბილისელი იყო და ამას არავინ უარყოფს. ეს უდავოა.

მერაბ კალანდანი

ქართული ენის დასაცავად

14 აპრილს ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები არაერთ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სასკოლო კონკურსში „14 აპრილი – ქართული ენის დღე“ გამარჯვებულებს უმასპინძლა. ასაკობრივი ჯგუფების (VII-IX და X-XII) მიხედვით ექვსი გამარჯვებული და ერთი ორიგინალური ნაშრომი გამოვლინდა. დიმიტრი შაშკინმა პირველ ადგილზე გასული ორი მოსწავლე კომპიუტერებით დასაჩუქრა, ხოლო დანარჩენები – ნიგნები-თა და სიგელებით.

კონკურსი „14 აპრილი – ქართული ენის დღე“ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში წელს პირველად ჩატარდა და მთელი საქართველო მოიცვა. აღსანიშნავია, რომ კონკურსში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ და თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. წარმოდგენილ ნაწარმებს შორის იყო მხატვრული თხზულებები, ჩანახატები, ზღაპრები, პუბლიცისტური წერილები, ლექსები. კონკურსანტებმა სხვადასხვა კუთხით გააშუქეს ენობრივი საკითხები, დაწერეს ქართული ემიგრაციის მომავალი თაობის ენობრივი პრობლემების შესახებ, ფერეიდნელ ქართველებზე, კონკრეტულ მაგალი-

თებზე დაყრდნობით აჩვენეს, თუ როგორ ბინძურდება ქართული ენა და მზად არიან იზრუნონ მისი სინამდის დასაცავად.

კონკურსში I ადგილი მოიპოვეს: ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შეუბნის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლემ **საბა ბუგიანიშვილი** ლექსისთვის „ენა ქართული“ და ხობის მე-2 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლემ **ნიკა სერგია** პუბლიცისტური წერილისათვის „du you speak ქართულად?“

II ადგილი წილად ხვდათ: აფხაზეთის მე-6 საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეს **მარიამ არჯევანიძეს** ლექსისთვის „საუკუნეებს მორაღვევ რწმენით“ და საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეს **ზურაბ ბინაძეს** თემისათვის „Fashion week და ილია მართალი“.

III ადგილი მოიპოვეს: თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯლის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლემ **შორენა მუსრაძის** ლექსისთვის „ჩემს ენას ქართულს“ და თბილისის 175-ე საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლემ **მერი ბოცვაძემ** მხატვრული ნაწარმებისთვის „არის ღუნია ანქითას“.

ორიგინალური ნაშრომისთვის – „ანბანთქება“ სიგელი გადაეცა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მე-7 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეს **გეგა მემარნიშვილს**.



დიმიტრი შაშკინი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კიდევ ერთი საინტერესო კონკურსი „14 აპრილი – ქართული ენის დღე“ ჩატარა, რომელმაც მასშტაბური ხასიათი მიიღო და მთელი საქართველო მოიცვა. მოსწავლეებს საკონკურსო ნაშრომების ფორმის, სტილისა და ფანრის შერჩევაში სრული თავისუფლება მივეცით. მათ საშუალება ჰქონდათ გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება ქართული ენის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ კონკურსში ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კვლავ გააგრძელებს მსგავსი კონკურსებისა და ღონისძიებების მხარდაჭერას. ჩვენი მხრიდან ასეთი დამოკიდებულება მნიშვნელოვანია განათლების პროცესის საინტერესოდ წარმართვისათვის“.

საბა ბუგიანიშვილი: „ასეთ კონკურსში პირველად მივიღე მონაწილეობა. სიმართლე გითხრათ, გამარჯვების დიდი იმედი მქონდა. ლექსებს დიდი ხანია ვწერ და შექებასაც ვიმსახურებ. მიხარია, რომ ლექსმა „ენა ქართული“ პირველი ადგილი მომაპოვებინა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საინტერესო კონკურსის ჩატარებისა და ასეთი კარგი საჩუქრებისთვის“.

გეგა მემარნიშვილი: „ლექსი „ანბანთქება“ პირველკლასელთათვის არის განკუთვნილი, რომელიც მათ ქართული ანბანის შესწავლაში დაეხმარება. ლექსში, ანბანის ორნარი წყობაა გამოყენებული და სა-

ხალისო საკითხავია. კონკურსში გამარჯვებამ დიდი სტიმული მომცა, რაც ძალიან მახარებს. სასკოლო კონკურსებში არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ორიგინალურობისთვის ჯილდო არასოდეს მიმიღია. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მოსწავლეებს **ნანა ჩიტორელიძეს** და რა თქმა უნდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩვენი შრომის დაფასებისა და ნახალისებისათვის“.

ნიკა სერგია: „როგორც კი შევიტყვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის შესახებ, მაშინვე გადავწყვიტე მონაწილეობის მიღება. დიდი სურვილი მქონდა, ჩემი დამოკიდებულება, პატივისცემა და სიყვარული გამოეხატა მშობლიური ენის მიმართ. მართალია, 1978 წლის 14 აპრილს, ასაკის გამო, არ ვიდექი იმ ღირსეული ადამიანების გვერდით, რომლებიც მშობლიური ენის დასაცავად გამოვიდნენ, მაგრამ მრავალი წლის შემდეგ მომეცა საშუალება, ჩემი სიტყვა მეთქვა ქართული ენის შესახებ. ყველა ქართველის უპირველესი მოვალეობაა პატივისცემა, სიყვარული და დაცვა მშობლიური ენისა“.

მაკა ყიფიანი



Fashion week და ილია მართალი

„აჰა, ერთი კიდევ“ თოთხმეტი აპრილი. „რა მივულოცოთ ჩვენს თავს ქართველნი?“ ნუთუ ის, რომ ყოველი წლის ყოველ გაზაფხულზე „დედაენის“ ძეგლთან ვიკრიბებით, წარსულს ვისხენებთ და მომავალ თაობებს ენის სინამდის დაცვისკენ მოვუწოდებთ. „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ დაველოდებით მომავალ 14 აპრილს, ისევ გვირგვინით შევამკობთ ამ ძეგლს, ქართული ენის შესახებ ლექსებს ნავიკითხავთ და... ცხოვრება გაგრძელდება. აბა, ყური მიუგდეთ, ნინო მასწავლებელი რა გატაცებით საუბრობს გენიალური ვაჟის ლექსზე „ჩემი ვედრება“. „გულს მისვენია ხატადა...“, – ამბობს და მთელ სხეულში უცნაურ ძალას ვგრძნობთ. ჩვენც ვუსმენთ, ქართულის გაკვეთილიც გვიყვარს და ქართულის მასწავლებელიც. ლექსის გამდიდრების გზებზე და ბარბაროზ-

მებზე დისკუსიას ვმართავთ. მასწავლებელი კმაყოფილია... დიდი ამბავი, თუ მარი (თუმცა მარიამი ჰქვია) „მესიჯს“ დასვენებაზე დაქალს მისწერს, გიოც ზრდილობიანად დაემშვიდობება გალიმებულ მასწავლებელს და ირაკლის ჰკითხავს: სადამოს გადმორეკავ? ჭავჭავაძეზე გავისეირნოთ, – ამბობს ნინიკო. იცი, წელს ჯავახიშვილში მაგარი კონკურსია, – წუხს ელენიკო. უნარებში ვერ გაეჭაჩავ, თუ არ მოვემზადე, – აგრძელებს მეკო. ხომ არ მოინწყინე მკითხველი! იტყვი, ალბათ, ნაცნობი სურათია, ახალს რას მეტყვიო. იმას, რომ გზით „კვირის პალიტრის“ 22-28 მარტის ნომერი მე-4 გვერდზე გადაშალე და ნაიკითხე: „შოტელ რედისონ ბლუ ივერიაში“ საგამომცემლო სახლ „პალიტრის“ ერთ-ერთმა უურნალმა „ბომონდმა“ საიმი-

ჯო საღამო მოაწყო, სადაც ბენდმა ყველა დროის საუკეთესო მუსიკა გააჟღერა. თბილისური ბომონდი იმიტომ შეკრიბა, რომ უურნალი „ბომონდი“ შეეფასებინა. პოდიუმზე „იმიჯცენტრისა“ და „სლაიდ მოდელს მენეჯმენტის“ გოგონებმა ავთანდილის კოლექცია წარმოადგინეს...“ (სტილი დაცულია). ღმერთმა ხელი მოგმართოს ჩემო გონიერო მკითხველო! ეჭვი არ მეპარება შენს განათლებაში, მჯერა, მიხვდები, რისი თქმა უნდა ამ „უხეირო სტატიის“ „უხეირო დამწერსა“.

მე კი თავს იმით ვინუგეგმებ, რომ ტელევიზორს ჩავერთავ. აი, მომზიბლავი ქალბატონი, მომავადლოებელი ღიმილით (იმიჯმეიკერი ნამდვილად ეყოლება), ავთანდილის კოსტიუმი რომ აცვია, ამბობს: „კომპანია „ნიუ ბროკერ გრუპი“ გთავაზობთ ინდივიდუალურ ნაკვეთებს ნატახტარში და პანტიანში.“ „დღეს იმაზე მალაღი თავისუფლების ხარისხი გვაქვს, ვიდრე სხვადასხვა იმპერიების ციხეებში.“ „თბილისში იწყება „ფეშენ ვიკი“ (სტილი აქაც დაცულია). სიმართლე გითხრათ, ბევრი ვერაფერი გავიგე, ინგლისურმანით შეპყრობილი „ახალი ქართველი“ კი აუცილებლად მეტყვის – ცხოვრებას ჩამორჩი, ჯობია ჩემთან ერთად KAFE NIKALA-ში ნამოხვიდეთ. „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ ქუჩაში თვალი მომჭრა ნარწერებმა: HOTEL RADISSON, KAZINO ADJARA, NIGHT OFFICE, BAMBA ROOMS, FLAT, NEW BROKER GROUP. როგორც ჩანს, „ახალი ქართველებისათვის“ ქართული ნარწერა

„გრეხია“. სამაგიეროდ, ილიას სახელობის უნივერსიტეტი ხომ გვაქვს?! რუსთაველის გამზირზე ქართველი ხომ დასეირნობს?! ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა ხომ დიდი პატივია?! დედაენას ძეგლი ხომ აუვგეთ?! 14 აპრილს ხომ ვიზეიმებთ?! რით გაგახაროთ? ინგლისური ენის წარწერებით? არამც და არამც... რუსთაველის ენა ყოველმთქმელია. ნულარ დაწერო, სტილი რომ მაქვს დაცული, ისე... ვთქვი... მე დავმშვიდდი... შეუსრულეთ თხოვნა უფლის ენას, რომელ ენაზეც განკითხვას მოველით.

ზურაბ ბინაძე
საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე

აპრილიდან აპრილამდე

თბილისის ზღვის მახლობლად მდებარე სკოლა-გიმნაზია „გორდას“ (დირექტორი – მერი აფხაზავა) პედაგოგები და მოსწავლეთა თვითმმართველობა „დარბაზის“ წევრები („დარბაზის“ უფროსი – XI კლასის მოსწავლე შოთა ჭოლაძე), უკვე 15 წელია, საინტერესო პროექტებს ახორციელებენ. სასკოლო ღონისძიებებში მშობლებიც აქტიურად არიან ჩართულნი.



თავყვანი ვცეთ ჩვენს უძველეს, უმდიდრეს და ულაშაზეს ენას. „სივყარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ, ხმათა ხვერდების და ღმერთების ენავ!“

წლების განმავლობაში ტრადიციად იქცა მოსწავლეთა სასკოლო კონკურსი „წლის საუკეთესო მკითხველი“, რომელიც ყოველწლიურად, აპრილიდან – აპრილამდე ტარდება და „დედაენის დღის“ აღსანიშნავ სასკოლო ზემოთ ჯამდება. სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მოსწავლეები სიგელებითა და ახალი წიგნებით ჯილდოვდებიან. მათ ამ ჯილდოებს, ფიურის წევრებთან ერთად, ზემოთ მონაწილე მწერლები და საპატიო სტუმრები გადასცემენ.

14-15 აპრილსაც გაიმართა საზეიმო საღამო. მზადების პროცესში, მათთვის საინტერესო წიგნების პარალელურად, VIII-XII კლასების მოსწავლეებმა კლასებში ჯგუფურად წაიკითხეს ახალგაზრდა ნიჭიერი, უკვე ცნობილი მწერლების – ნინო სადღობელაშვილისა და ზვიად კვარაცხელიას ნაწარმოებთა კრებული. ზემოთც ისინი დაპატივეს.

14 აპრილს I-IV კლასების მოსწავლეები, დამრიგებლებთან და მშობლებთან ერთად, დედაენის ძეგლთან შეიკრიბნენ, ყვავილებით შეამკეს ძეგლი, წაიკითხეს ლექსები „დედაენასა“ და მის ავტორზე – იაკობ გოგებაშვილზე.

15 აპრილს სკოლის დარბაზში შეიკრიბნენ მოწვეული სტუმრები იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოებრივი – ქალბატონები აზა ბუაძე და სულიკო ზანდუკელი; ახალგაზრდა პოეტი და პროზაიკოსი (სკოლის ყოფილი მასწავლებელი) ნინო სადღობელაშვილი; ახალგაზრდა ნიჭიერი პროზაიკოსი ზვიად კვარაცხელია; გამომცემლობა „არტანუჯის“ დირექტორი მაია კუდავა.

ზეიმი III-კლასელებმა დაიწყეს. მათ მშვენივრად წარმოადგინეს „დედაენის“ საგლობელი“ (მასწავლებელი – ლეილა აბაშიძე), ხმაშენყობილად შეასრულეს სიმღერები ანაბაზე, დედაენაზე, გაზაფხულზე, სამშობლოზე, თავისუფლებაზე (მუსიკის პედაგოგი – ნათია სანაძე).

„დღეს „დედაენის დღეა“, ქართველი კაცისათვის არანაკლებ ღირსსახსოვარი დღე სხვა გამორჩეულ დღეთა შორის. ამიტომ შევიკრიბეთ, გვინდა პატივი მივაგოთ და

ასე უმღეროდა ლაღო ასათიანი ქართულ ენას. მსოფლიოში არცბულ 14 ანბანს შორის ქართულ ანბანს ხომ ღირსეული ადგილი უჭირავს“, – თქვა ანა კორძაძიამ.

კოკა ნიქაცაძემ გააგრძელა: „ჩვენი „დედაენა“ ითი იწყება. ეს არის იაკობ გოგებაშვილის ნიჭის გამობრწყინება. ეს შემოქმედის იღბლიანი მიგნებაა, ამგვარი მიგნების ნიჭს კი ბუნება უხვად არ იძლევა. ნიჭი იმითობაა ნიჭი, რომ ყოველი ფეხის ნაბიჯზე არ გვხვდება. ამიტომ ვიხრით ქედს ნიჭის წინაშე, ამიტომ ვცემთ თავყვანს, ამიტომ ვუფრთხილდებით, როგორც ბუნებისგან ბოძებულ დიდ განსს.“

ანა არველაძე: „რამდენი ფიქრი, რამდენი ჩხრეკა და რუღუნება იყო საჭირო, რომ ქართულ სიტყვათა ამოწურავ საგანძურში ჩვენს დიდ იაკობს სწორედ ეს სიტყვა ეპოვნა. ამ დიდ სიძნელეს ისიც ადასტურებს, რომ მის ძებნას თორმეტი წელი მოაწოდებდა – 1865 წელს პირველად გამოქვეყნებული „ქართული ანბანის“ შემდეგ მხატვრული ტექსტით შესრულებული „დედაენა“ მხოლოდ 1876 წელს დაიბეჭდა.“

„დედაენა“ ადამიანის უძვირფასესი საუნჯეა“ – გვარწმუნებს გიორგი კონსტანტინიძე, – იაკობ გოგებაშვილმა დედაენას უწოდა „ბურჯი ეროვნებისა“. მან შექმნა უკვდავი „დედაენა“. სკოლაში მისული ბავშვი „დედაენის“ გადაშლიდან ითვისებს სამშობლოს სიყვარულს.“

ასევე ლამაზად და შთაბეჭდავად წარმოადგინეს კონსტანტინე გამსახურდიას, ჯანსუღ ჩარკვიანისა და სხვათა „ანბანთქებანი“ მოსწავლეებმა: რატი ძევისაშვილმა, ნინო დარბაიძემ, თემურ ზერეკიძემ, გიორგი შაყულაშვილმა და სხვ.

მესამეკლასელებმა იციან, საიდან იწყება მამულის სიყვარული; იციან, რომ დედაენიდან იწყება ერის უკვდავება.

ამ მშვენიერ ზემოს ექსპრესიულს ხდიდა რევაზ ლალიძის მუსიკა – „ოდა დედაენისა“, – „აი ია... აი თითი“... და „დედაენისადმი“ მიძღვნილი სხვა საგალობლები.

მეცხრე და მეთერთმეტე კლასელებმა: სალომე ჯებისაშვილმა, თორნიკე ანდრიაძემ, საბა ქაშუაძემ, შოთა ჭოლაძემ, ნათია დარსალიამ, თიკო მიროტაძემ, თეკლე ზაკალაშვილმა და თეონა კანდელაკმა შთაბეჭდავად, ემოციებით წაიკითხეს სტუმარი პოეტის ნინო სადღობელაშვილის ლექსები...

ანა ალფაიძემ ნინო სადღობელაშვილის მოთხრობების კრებული „ბამბაზის სამოთხე“ განიხილა:

„მოთხრობა „ბამბაზის სამოთხე“, ალაბთ, გამორჩეულად გიყვართ, რადგან კრებულს მისი სახელი დაარქვით, – მიმართა მან ავტორს, – ეს მოთხრობა, როგორც ამბობს, „ბედნიერი“ აღმოჩნდა. მან თქვენი მეგობარი, ახალგაზრდა რეჟისორი გიორგი სიხარულიძე დაინტერესა, რომელმაც სპექტაკლი დადგა ქუთაისის ლაღო მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე. მოთხრობისა და სპექტაკლის თემა აფხაზეთის ომში შეიღმკვდარი დედის ყოფა-ცხოვრებაა. დედა ვერაფრით შეგუებია აზრს, რომ მისი ერთადერთი შვილი, რატი, ცოცხალი აღარ არის, მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, შვილის ბავშვობისდროინდელი შარვლებიდან ჭრის კურდღლებს, ციყვებს, ბამბუკებს და კედელზე ამაგრებს, ე.წ. ბამბაზის სამოთხეს ქმნის. მიაჩნია, რომ ამ „სამოთხეში“ შვილთან ერთად იქნება სამუდამოდ.“

იგივე მოთხრობა რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ, ავთო ვარსიმაშვილთან ერთად, კინოფილმად გადაიღო, რომელიც მთელმა საქართველომ ნახა. სპექტაკლსა და



ფილმში მთავარი გმირის, რატის როლს თქვენი მეგობარი, ახალგაზრდა მსახიობი და რეჟისორი იოანე ხუციშვილი ასრულებს. თქვენ, შეიღმკვდარი დედის გაუსაძლისი ყოფა განგვაცდევინეთ. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, არ იყოს ომი და არცერთ დედას არ დაეღუპოს შვილი“.

თეკლე ქველაძემ ნინო სადღობელაშვილის რომანი „ორსული“ განიხილა. ისაუბრა ეკა გვიანიძისა და კოტე ნიჟარაძის ურთიერთობაზე. გაკვირვება გამოხატა ახალგაზრდა ავტორის მიერ ცხოვრებისეული წვრილმანების დეტალურად ფლობის გამო, შეაქო მწერლის ენა და გამომსახველობითი მხატვრული მრავალფეროვნება...

ქრისტინე მარკოზიამ ახალგაზრდა მწერლის, ზვიად კვარაცხელიას დოკუმენტური მოთხრობა „ილია სამეგრელოში“ განიხილა. ხოტბა შეასხა ავტორის გონიერებასა და წერის სტილს, ენის მხატვრულობას. „– თქვენ, ამ მშვენიერი ნაწარმოებით არა მხოლოდ სამეგრელო, არამედ ილიასდროინდელი საქართველოც დაგვანახეთ“, – მაღლიერებით მიმართა მან ავტორს.

საქართველოში იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების დაარსების, მისი მნიშვნელობისა და საქმიანობის შესახებ ისაუბრა IX კლასის მოსწავლემ ნათია დარსალიამ. მან სიამაყით მოახსენა სტუმრებსა და მასწავლებლებს, რომ „სწორედ ამ საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ განათლების სისტემაში თავდადებული საქმიანობისათვის 2001 წელს იაკობ გოგებაშვილის მედლით დააჯილდოვა ჩვენი სკოლის დირექტორი მერი მასწავლებელი“.

ზეიმის დასკვნითი ნაწილი კონკურსის შედეგების გამოქვეყნებას დაეთმო.

ფიურის თავმჯდომარემ, სკოლის დირექტორმა მერი აფხაზავამ ღონისძიების მონაწილეებს ფიურის

წევრები წარუდგინა. ისაუბრა, თუ როგორ, რა კრიტერიუმებით იმუშავა ფიურამ გამარჯვებულთა გამოსავლენად, გაცნო მათ ნომინაციები და გამარჯვებულთა დაჯილდოების პროცედურაში, ფიურის წევრებთან ერთად, სტუმრებიც ჩართო. გამარჯვებულ მოსწავლეებს სიგელებთან ერთად ახალი წიგნები გადაეცათ.

„წლის საუკეთესო მკითხველი – 2009“-ის გამარჯვებული გახდა XII კლასის მოსწავლე ილონა ქორიძე, რომელსაც მწერალმა ნინო სადღობელაშვილმა თავისი ლექსების კრებული – „შუალამის იავნანა“ – გადასცა.

მეორე ადგილი მოიპოვა მერვეკლასელმა დავით პატატიშვილმა, მესამე – მეთერთმეტეკლასელმა ქრისტინე მარკოზიამ. მათაც მწერლებმა გადასცეს თავიანთი კრებულები, ავტორგრაფებით.

„საუკეთესო კომენტარისათვის“ დაჯილდოვდა IX კლასის მოსწავლე ნათია დარსალია.

„საუკეთესო მკითხველი კლასი“ – XI კლასი და მისი დამრიგებელი მაია ქველაძე ფიურის წევრებმა დააჯილდოვეს.

დაჯილდოვდნენ „ნორჩი კალიგრაფისტი“: მეხუთეკლასელი ქეთევან ჯამასპიშვილი, მესამეკლასელი ანა კორძაძია და მეოთხეკლასელი გურამ კიკნაძე.

სკოლის დირექციამ სიგელით დააჯილდოვა ფიურის წევრი, ბიბლიოთეკარი ირმა მუხიგულაშვილი და ბიბლიოთეკას სტუმარი მწერლების წიგნებთან ერთად „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ახალი გამოცემა გადასცა.

სტუმრებმა დიდი მაღლიერება გამოხატეს ნანახისა და მოსმენილის გამო, წარმატებები უსურვეს მოსწავლეებსა და მათ პედაგოგებს.

მარინა მუშაპიძე

სკოლის ფსიქოლოგი

კარლო სალუქვაძის ფოტოები



საორბი

ეპროკული სკოლა - მირაჟი თუ რეალობა

რამდენიმე დღის წინ ჩატარდა გლდან-ნაძალადევის რაიონის პირველადი მხარეთმცოდნეობის ცენტრში...

ონის პრიზორები, გავიდნენ „ჯეტიქის თასის“ ფინალში... ამასთან, ძალეობრივად სპორტის სხვადასხვა სახეობებში, თუმცა ეს მხოლოდ მოსწავლეთა აქტივობებს არ ეხება...

ეს იქნება ევროპული ტიპის სკოლა სპორტული ბაზით და აუზით. იმედია, დაპირებასაც შეუსრულებენ და ელირსებათ ნორმალური პირობები, მაგრამ იმავე 2017-ე ან ამ დღეში მყოფ სხვა სკოლებზე ფიქრობ ვინმე, სპორტული ბაზა იმთავითვე სჭირდება? უგანდა ან მისი მსგავსი ქვეყანა რომ არ ვართ, დღევანდელი სკოლა სპორტული ბაზის გარეშე რომ არსებობდეს?!

ქეთევან აბესაძის მოსაზრებაც. შენაძლოა, ის ზოგისთვის საკამათო იყოს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ასეთ კერძო ინიციატივებს ნამდვილად აქვს არსებობის უფლება. სხვა თუ არაფერი, აზრთა თუ გამოცდილების განხილვა-შეჯერება ხომ ყველაზე მნიშვნელოვანია საუკეთესო გზაზე.

რობ, აჯობებს, განვითარება მოხდეს სპორტის სხვადასხვა სახეობების, ანუ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. მაგალითად, თუ მართლა შეასრულეს დაპირება და ახალ სკოლაში აუზი გაკეთდა, ნარმოვდგენელია, ფიზიკური განვითარებაზე ყველას დაეძალოთ ცურვა, რაც ვილაყას სურს, ვილაყას - არა. ამის იძულებითი ფორმა და სააკვეციო პროცესად ქცევა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

ეს სკოლა სან-ზონაში, მერვე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე იყო, შენობა 2 წლის წინ ჩამოინგრა, როგორც ამბობენ, თბილისის ზღვიდან გამოშვებული მინისქვეშა ნყლებს ზეგავლენით. ყოველ შემთხვევაში, შენობის სარდაფში წყალი ნამდვილად გროვებოდა და კედელიც სწორედ იმ მხარეს ჩამოიქცა - ჯერ მეორე სართულისა, რომელმაც პირველიც თან ჩაიყოლა... საბედნიეროდ, ეს დილით ადრე მოხდა, სწავლის დაწყებამდე, რამაც ტრაგედიისგან გვიხსნა. იმ დროს სკოლაში აგვისტოს ომის შედეგად დევნილთა რამდენიმე ათეული ოჯახიც ცხოვრობდა, მაგრამ ისინიც გადარჩნენ.

თუმცა ერთი ტრადიციები ან თუნდაც სურვილები, მაგრამ მეორე - შესაძლებლობები. როგორც გითხარით, სპორტული ბაზა არც მათ მასპინძელ 2017-ე სკოლას აქვს აბა, „მხიარული სტარტებისთვის“ ეს ბავშვები სად მოემზადებენ-მეთქი, ვკითხე დავით ხავთასს და სკოლის ტერიტორიაზე, ეზოში, მიპასუხა... ერთ ბაზაზე შეყუყულები ორივე სკოლისთვის დარბაზი, ინვენტარი რა პრობლემაა, მეც დაერწმუნდა, როცა შორენა კანტიძის გაკვეთილს შევესწარი, რომელიც ფიზკულტურისთვის ყოველდღე მუშაობდა პატარა ოთახში ტარდებოდა, ინვენტარის ნაცვლად კი მუყაოს ყუთებს იყენებდნენ. იქ ყველაზე თანამედროვე იარაღი ჩვეულებრივი ვახანის ბუშტები და ზადმინტონის გასები იყო... ამ ყველაფრის შემხედვარეს თავში გამიელვა, რომელ ევროპულ ტიპის სკოლაზე ლაპარაკი, როცა ჯერჯერობით სკოლაში მინიმალური პირობებიც არაა-მეთქი. ამ სკოლას 2011 წლისთვის საკუთარ შენობას ჰპირდებიან და აიძულებენ, რომ

მეთხოვთმეტესკოლეტა ერთი მთავარი ოცნება ის აუზია, რომლის გაკეთებასაც ახალ სკოლაში ჰპირდებიან. ასეთი ფუფუნებით სკოლები ვერ დაიკვენიან, სწორი მენეჯმენტის პირობებში კი ის ძალიან კარგი შენაძენი და შემოსავლის წყარო გახდება არა მარტო საკუთრივ სკოლის მოსწავლეების, არამედ მიმდებარე უბნების ახალგაზრდებისთვისაც. ამის მაგალითი დედაქალაქის 192-ე საჯარო სკოლა (დირექტორი - არჩილ ჩხაიძე). სპორტულ გეგმებს უკავშირდება ასევე რაიონული მასშტაბის აზნაურაშვილის სახელობის ტურნირის დაარსება ჭადრაკში, რის თაობაზეც ფედერაციასთან მოლაპარაკებებს უახლოეს ხანებში დაიწყებენ.

ქეთევან აბესაძის მოსაზრებაც. შენაძლოა, ის ზოგისთვის საკამათო იყოს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ასეთ კერძო ინიციატივებს ნამდვილად აქვს არსებობის უფლება. სხვა თუ არაფერი, აზრთა თუ გამოცდილების განხილვა-შეჯერება ხომ ყველაზე მნიშვნელოვანია საუკეთესო გზაზე.

ვიდრე ის სკოლა დაგვეგროვოდა, დათო ხავთასთან ერთად დავგვემეთ პროექტი, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული იყო ფიზკულტურის გაკვეთილების ამოღება, სამაგიეროდ, შაბათს იმ საათების ჯამურ ანგარიშზე რომელიმე უახლოეს ადგილზე ლაშქრობის მოწყობა. ეროვნული სასწავლო პროგრამები იძლეოდა ამის საშუალებას, თვით ლაშქრობები მოიცავდა სააკვეციო პროექტების შესრულებას ბუნებრივ პირობებში. ფიზკულტურის გარდა, ის მოიცავდა გეოგრაფიას, ბოტანიკას, სხვა სფეროებს. ამ დროს ბავშვს კი არ დაავალბ, აქედან აქამდე ორიწინო, არამედ თან ბუნებრივად გახვალ და თან სპორტულ ღონისძიებებსაც მოწყობ. ეს სიახლე იქნებოდა ბავშვებისთვის, რაც მათ ასე ძალიან მოსწონთ და არა სააკვეციოლო ფორმატი.

მუდანი ნარმატებით მოიარას

ახალგაზრდა ვაჟი ძიუდოსტა ნაკრები ნარმატებით გამოვიდა ბერძნულ მუდანიში, ევროპის ახალგაზრდულ თასზე, რომელსაც „ილიადისის თასი“ ეწოდება. ოთხი ოქრო, ერთი ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო - ასეთია ჩვენს ბურთა მონაგარი. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ჯაბა ჯიქურაული (55), ლაშა შავდათუაშვილი (66), ავთანდილ ჭრიკიშვილი (81) და არჩილ შინჯიკაშვილი (90). ვერცხლის მედალი ირაკლი დგებუაძემ (73) მოიპოვა, ბრინჯაო - თორნიკე თათარაშვილმა (60), ანზორ ხმიადაშვილმა (73), მიხეილ ნარიშანიძემ (100) და როსტომ ხახალაშვილმა (+100).

ჯაო მოიპოვეს. სალონიკში შესანიშნავად ითამაშა ქუთაისელმა ანა შამთაიაძემ, რომელმაც ერთბაშად ორ ტურნირში გაიმარჯვა - 14 და 15-წლიანებში. 17-წლამდე ვაჟებში პირველობა არავის დაუთმო ასევე ქუთაისელმა ზურაბ ჯავახიძემ, ხოლო ჩვენი ბრინჯაო - ასეთია ჩვენს ტიტულუოვანი ნევირ - ასაკობრივ მსოფლიო პირველობებში გამარჯვებული სამტრედიელი მერი არაბიძე მესამეზე გავიდა. საინტერესოა, რომ არაბიძის გარდა, ყველა პირველად თამაშობდა უცხოეთში. მედლაზე ცოტა დააჯილდოვა გიგა დარსაველიძეს (17-იანებში მეოთხეზე გავიდა) და გიორგი დანაძეს (მეხუთე ადგილი 15-იანებში).

წებლად. ცნობილი სპორტსმენი სიტყვას პირნათლად ასრულებს. სასიხარულოა, რომ ეროვნული ნაკრებისგან განსხვავებით, სადაც რამდენიმე ნატურალიზებული უცხოელი თამაშობს, ამ ნაკრებში მხოლოდ ქართველი მოზარდები გამოდიან. იმედია, მათი სახით ქართულ წყალბურთს კარგი თაობა ეზრდება, რომელიც ევროპის ჩემპიონატზეც წარმატებით ითამაშებს.

ქეთევან აბესაძის მოსაზრებაც. შენაძლოა, ის ზოგისთვის საკამათო იყოს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ასეთ კერძო ინიციატივებს ნამდვილად აქვს არსებობის უფლება. სხვა თუ არაფერი, აზრთა თუ გამოცდილების განხილვა-შეჯერება ხომ ყველაზე მნიშვნელოვანია საუკეთესო გზაზე.

რადგან შედეგებიც წამოვიდა. ანთალიიდან დაბრუნების შემდეგ მართებულად შენიშნა ქალთა ნაკრების თავკაცმა გია თენაძემ, სპორტსმენმა განვითარების ყველა საფეხური უნდა გაიაროს, შეიძლება, ბავშვი სკოლის გვერდის ავლით პირდაპირ უმაღლესში დაესვათ და შედეგად მოვიხივოთ. მიდგომა მართლაც სწორია და გვეჯერა, აუცილებლად გამოიღებს შედეგს, მაგრამ საწყენია, რომ იმ თაობამ ბევრი დაკარგა. იმ გუნდში იყო ფიზიკური მონაცემებით გამოჩენილი მოზარდები სპორტსმენი, რომლებსაც სწორი მიდგომის შემთხვევაში გარკვეული წარმატებების მიღწევა შეეძლოთ, მაგრამ მიზეზთა გამო (რომელთა შორისაც ძირითადი არასწორი სტრატეგია გვეგონია) ასე არ მოხდა.

ახალგაზრდები შემოდგომაზე გასამართი ევროპისა და მსოფლიო პირველობებისთვის ემზადებიან, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ტურნირებში იშვიათად გამოდიან. ამდენად, მათთვის მუდანიური შეჯიბრება მისწრება გამოდგება არც ბოჭბემა გავგანზილეს. აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობა ბოლო წლებში სტაბილურად წარმატებით ასპარეზობდა და იმედია, ასეც გააგრძელებენ. მაგალითად, ჭრიკიშვილი ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზორია, შინჯიკაშვილი - იმავე ასაკში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ხოლო ოლიმპიურ ჩემპიონ დავით ხახალაშვილის ვაჟი - როსტომ ხახალაშვილი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი შარშან წაბუკებში გახდა. საქართველოს მასშტაბით შავდათუაშვილს, თათარაშვილს, ხმიადაშვილს და ნარიშანიძესაც აქვთ გარკვეული წარმატებები. ამ მედალოსნებიდან ახალი კადრი ჯიქურაული და დგებუაძეა. სხვათა შორის, დგებუაძე ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსან ვლადიმერ დგებუაძის ვაჟია.

წებლად. ცნობილი სპორტსმენი სიტყვას პირნათლად ასრულებს. სასიხარულოა, რომ ეროვნული ნაკრებისგან განსხვავებით, სადაც რამდენიმე ნატურალიზებული უცხოელი თამაშობს, ამ ნაკრებში მხოლოდ ქართველი მოზარდები გამოდიან. იმედია, მათი სახით ქართულ წყალბურთს კარგი თაობა ეზრდება, რომელიც ევროპის ჩემპიონატზეც წარმატებით ითამაშებს.

ქალთა ძიუდოს მომავალი

დიდი დრო არაა გასული, რაც ლაგოდებელი ძიუდოსტის - ელენე ქებაძის წარმატებაზე ვწერდით. მაშინ გიორგეთელმა მიძინოსანსა ანთალიაში გამართულ ევროპის დიდ პრიზზე იმარჯვა, რასაც მალევე მორიგ მარმატება მიაცილდა, ამჯერად ბაქოში. სასიხარულოა, რომ იქ მედლები ჩვენი გუნდის სხვა გოგონებმაც მოიპოვეს.

ბაქოში ჩვენმა ჭაბუკ ვაჟთა და გოგონათა გუნდებმა პაზნიმ ახლანოვის სახელობის ტურნირში იჭიდავეს და ქებაძემ კვლავ გაიმარჯვა. ოქროს მოპოვება შეეძლო გურანდა შოთაძეს (52), მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა დათმო და ვერცხლს დასჯერდა. ამავე წონაში კვარცხლბეგზე კიდევ ერთი ჩვენსური დადგა - ბრინჯაოს მედალი მარიამ ჯანაშვილმა მოიპოვა. არადა, შეიძლებოდა, აქ მეორე ბრინჯაოს მედალიც ქართველი ყოფილიყო, მაგრამ მარინე ციხელაშვილი დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა.

ბაქოში ჩვენი ვაჟთა ნაკრებიც წარმატებით გამოვიდა, თუმცა, იმათგან ეს არ გვიკვირს. გიორგი ჯიბლაძე (81) და კარლო ნემსინვერიძე (+90) გახდნენ ჩემპიონები, უშანგი გასიტაშვილი (90) ვერცხლი მოიპოვა, ბრინჯაო კი მიძინოსანსებმა - გუგა კობორძალიძემ და გიორგი ჯინჯიხაძემ მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ კობორძალიძე ახლო წარსულის სახელოვანი ქუთაისელი ძიუდოსტის, უდროოდ ვარდაცვლილი, ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ აკაკი კობორძალიძის შვილია. ეს მის კარიერაში პირველი მედალია. შეგახსენებთ, რომ ჭაბუკები 25-27 ივნისს ჩეხეთში გასამართი ევროპის პირველობისთვის ემზადებიან. სავარაუდოდ, ამ წარმატების შემდეგ ვაჟებიდან იქ გამოსვლა საბოლოოდ გაინაღდა ნემსინვერიძემ, რომელიც საქართველოს ჩემპიონიცაა და ანთალიაშიც ბრინჯაო მოიპოვა. სხვა წონებში კონკურენტთა ჯერ ისევ გრძელდება, აი, გოგონებიდან კი ევროპაზე ჭიდაობა ქებაძემ ჯერ კიდევ თურქეთში გამარჯვებით გაინაღდა.

სასკოლო ეპროკა

ქართველი მოჭადრაკეები წარმატებით გამოვიდნენ სალონიკში დასრულებულ ევროპის სასკოლო ჩემპიონატში, სადაც 3 ოქრო და 1 ბრინ-

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდულ ნაკრებს ყველა დროს ერთ-ერთი საუკეთესო წყალბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზორი რევაზ ჩომახიძე წვრთნის, რომელიც შარშან დაბრუნდა რუსეთიდან სამობლოში ქართული წყალბურთის ასაღორძინებლად.

წებლად. ცნობილი სპორტსმენი სიტყვას პირნათლად ასრულებს. სასიხარულოა, რომ ეროვნული ნაკრებისგან განსხვავებით, სადაც რამდენიმე ნატურალიზებული უცხოელი თამაშობს, ამ ნაკრებში მხოლოდ ქართველი მოზარდები გამოდიან. იმედია, მათი სახით ქართულ წყალბურთს კარგი თაობა ეზრდება, რომელიც ევროპის ჩემპიონატზეც წარმატებით ითამაშებს.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თაბაძე

მისამართი: ტიტალაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027. www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაცია ხელმოწერისთვის: 76096 გაზეთი რეგისტრირებულია ღირსების რაიონის სასამართლოს მიერ. რედაქციის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109, სატელეფონო კოდი: 010 523 12 34 56 78 90